1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუკი



№ 12

1932 წლი
4 სექტემბე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სად. სტალინის დეპოს ზეინკალი ამხ. ნესტორ კახაძე, 34 წლის საწარმოო სტაჟით, მუშა-გამომგონებელი. თავისი უკანასკნელი გამოგონებისათვის ჯილდოოდ მიიღო 250 მანეთი.



მზადება ახალი სამოსწავლო წლისათვის (უკრაინა) რაიონული ექიმი სინჯავს ბავშებს სასწავლო წლის დაწყების წინ



შავი ოქრო ბაშკირეთში. ბაშკირეთში, სტერლიტამაკის რაიონში აღმოჩენილი ნავთის ახალი მდიდარი საბადოები უკვე მიმდინარე წელს მისცემენ საბჭოთა ქვეყანას სამრეწველო მნიშვნელობის ნავთს. რამდენიმე ჭაბურღილი უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოთ.

სურათზე—ვადაზე ადრე ამუშავებული ჭაბურღილი № 717.



სამეცნიერო-საგამოკვლეო ინსტიტუტების გამოფენა თბილისში. ა.-კ. მძიმე მრეწველობის კომისარიატის ტეხპროპმა სტალინის სახელობის კლუბში მოაწყო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების მუშაობის გამოფენა. გამოფენაზე მოეწყო ინსტიტუტების სამეცნიერო მუშაკების მოხსენებები.

სურათზე—გაზების მიღების ცდის დემონსტრაცია.



საბჭოთა დირიჟაბლები სერავენ ჰაერს თვითმოქმედი ხელოვნების საკავშირო ოლიმპიადის გახსნის დროს (მოსკოვში, კულტურისა და დასვენების პარკში) ფრენდა ერთ-ერთი პირველ საბჭოთა დირიჟაბლებიდან.



ველო-გადარბენა თბილისი—კიევი—მოსკოვი 12 აგვისტოს მოსკოვში შესდგა სტარტი ველო-გადარბენისა: თბილისი—კიევი—მოსკოვი

სურათზე—გადარბენის მონაწილენი ფინიშთან.

# ახალგაზრდობის XVIII საერთაშორისო დღე

4 სექტემბერს მთელი საერთაშორისო რევოლიუციონური ახალგაზრდობა გამოვა ქუჩაში ახალგაზრდობის კომინტერნის დროშებით.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ის გამოვა იმ მიზნით, რომ მსოფლიო მუქთახორებს დაანახოს კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის, მასების აუტანელი ყვლეფის, სისხლიანი ფაშისტური ტერორის, ახალი იმპერიალისტური ომის მზადების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად ბრძოლისათვის თავისი მზადყოფნა.

საბჭოთა კავშირში მშრომელი ახალგაზრდობა გამოვა კომკავშირის დროშებით, რომ ერთხელ კიდევ ცხადყოს პარტიის გენერალური ხაზისა და სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის, პირველ ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მეორე ხუთწლედში უკლასო საზოგადოების მშენებლობისათვის საბრძოლველად თავისი მზადყოფნა.

ახალგაზრდობის პირველი საერთაშორისო დღე ჩატარდა 1915 წ. 3 ოქტომბერს, უმთავრესად ნეიტრალურ ქვეყნებში, ეს იყო მშრომელი ახალგაზრდობის პირველი მასიური პროტესტი ყაჩაღური ომის წინააღმდეგ. რეფორმისტებმა ზურგი შეაქციეს მას. და ახლაც, როცა იმპერიალისტური მტაცებლები ახალ ომს ამზადებენ და ცდილობენ შექმნან ბლოკი საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იქნება ბრძოლა ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად. ახლაც, ისე, როგორც ჩვიდმეტი წლის წინ, სოციალისტები—მეორე და ახალგაზრდობის „სოციალისტური" ინტერნაციონალი, გამოდიან რევოლიუციონური ახალგაზრდობის ამ საერთაშორისო დემონსტრაციის წინააღმდეგ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ახლა ისინი ამას სჩადიან პირდაპირ, ოოგორც ბურჟუაზიის აშკარა მოკავშირეები და მრავალ ქვეყანაში სოციალ-ფაშისტური პოლიციის ტყვია ბევრ მშრომელ ახალგაზრდობას გამოასალმებს სიცოცხლეს.

იზრდება და ღრმავდება კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ათეული მილიონი ადამიანები იშლებიან სიცოცხლის სიიდან. სიმშილი, სიცივე, სიღატაკე, უმუშევრობა მეფობს მთელს დედამიწაზე, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გამოკლებით. შეერთებულ შტატებში და კანადაში ხორბლით ათბობენ ორთქლმავლებს, იქვე და სხვა ქვეყნებში მილიონები სიმშილით იხოცებიან. ფერმერები მდინარეში ასხამენ რძეს, რომ რძის პროდუქტების თასი ასწიონ. ამ დროს კი პაწაწა ბავშები იხოცებიან სიმშილით, მათ მშობლებს არა თუ რძის ფული, არამედ ლუკმა პურის შესაძენი ფული არა აქვთ. ბურჟუაზიული მკვლევარებიც კი იძულებული არიან განგაში ასტეხონ დაბადებათა რიცხვის კატასტროფიული შემცირების და ბავშთა სიკვდილიანობის ზრდის გამო. ინგლისში 1900 წ. 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 28,8 ახლად დაბადებული, 1931 წელს კი—15,3, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სიკვდილის რიცხვი მეტი იყო, ვიდრე დაბადების. 1921 წ. შეერთ. შტატებში 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 21,4 ახლად დაბადებული, 1931 წ.—18,9. გერმანიაში სტატისტიკოს ბუგდერფერის ცნობით „1927 და 1928 წ. დაბადებათა რიცხვი იყო ერთი მეათედით, 1928 წ.— ერთი მერვედით, 1930 წ.—ერთი მეშვიდედით, და 1931 წ.—ერთი მეოთხედით ნაკლები იმაზე, ვიდრე საჭიროა მოსახლეობის ახლანდელი დონეს შესანარჩუნებლად". თავის შრომას ბუგდერფერი აქვეყნებს მრავალმეტყველ სათაურით: „ხალხი ახალგაზრდა თაობის გარეშე", გამოანგარიშებულია, რომ საფრანგეთის მოსახლეობა 75 წლის განმავლობაში სანახევროდ შემცირდება, თუ დაბადებათა პროცენტი ისეთი დარჩა, როგორიც ახლაა, ნორვეგიაში, შვეციაში, ბელგიაში დაბადებათა რიცხვი შეადგენს იმის ნახევარს, ვიდრე იყო მეოთხედი საუკუნის წინ. ამავე დროს კოლოსალურად იზრდება თვითმკვლელობათა რიცხვი. 1931 წ. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად შეერთებულ შტატებში თავი მოიკლა 20.000 კაცმა. დედები და მამები **შეგნებულად** ჰკლავენ თავიანთ ბავშებს და თვითონაც იკლავენ თავს, როცა ჰხედავენ, რომ გამოსავალი მათი აუტანელი გაჭირვებიდან არ სჩანს და ველარ იტანენ ბავშების სიმშილობის საზარელ სურათს. აი რა ხვედრი მოუმზადა კაპიტალიზმმა მშრომელ ახალგაზრდობას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდობა რევოლიუციონერდება, მისი რადიკალიზაციის პროცესი სწრაფად მიმდინარეობს და იგი დგება გამწვავებული კლასობრივი ბრძოლების ავანგარდში. პოლონეთში, რუმინეთში, ბალკანეთზე, ჩინეთში, ამერიკაში; იაპონიაში ციხეები სავსეა რევოლიუციონური მუშა-ახალგაზრდობით. კლასობრივ და ანტი-იმპერიალისტური ბრძოლის ფერხულში ებმება კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობა.

სულ სხვა არის ახალგაზრდობის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში. იგი არის პარტიის და ხელისუფლების მზრუნველობის ცენტრში. საბავშო ბაგეების და ბაღების მოედნების, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, სხვადასხვა ტეხნიკური წრეების, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების, სასპორტო და დასასვენებელი დაწესებულებების, საერთო საცხოვრებლების და სხვ. გრანდიოზული ქსელი, რომელიც თავის საუკეთესო ხანაშიც კი არ უხილავს არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, ათასგვარი შეღავათები ახალგაზრდობისათვის, სტიპენდიები მოსწავლეთა თითქმის 75 პროცენტისათვის,—ყოველივე ეს არის მცირე ილიუსტრაცია იმ ყურადღების და მზრუნველობის, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება იჩენს ნორჩი და ახალგაზრდა თაობის მატერიალურ-კულტურული საჭიროებისადმი.

საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი კომკავშირი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელ ახალგაზრდობის ავანგარდი და ხელმძღვანელი, აქტიური მებრძოლია სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, ის არის მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის-მოძღვრების ერთგული მიმდევარი და განმხორციელებელი. ჩვენი ქვეყნის ლენინურმა კომკავშირმა ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში, მოგვცა შეგნებული სოციალისტური შრომის დაუვიწყარი ნიმუშები.

საბჭოთა კავშირის კომკავშირმა უდიდესი როლი ითამაშა რევოლიუციონური ახალგაზრდობის საერთაშორისო ძალების დარაზმვაში, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნაში. ამჟამადაც ის არის მსოფლიო კომკავშირული არმიის ავანგარდი. საბჭოთა კავშირის კომკავშირი ახალგაზრდობის 18 საერთაშორისო დღეს ატარებს სოციალისტური მშენებლობის გაშლილი დროშებით, ეუფლება მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის მოძღვრებას, რომ მეცნიერული სოციალიზმის ბასრი იარაღით შეიარაღებულმა მთელს მსოფლიო მშრომელ ახალგაზრდობასთან და მთელს მუშათა კლასთან ერთად კომინტერნის ხელმძღვანელობით გასწიოს **წინ მსოფლიო ოქტომბრისაკენ!**



კომკავშირელები გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. ტყიბულის მაღაროების დასავლეთის უბნის კომკავშირელ მემაღაროეთა ბრიგადა




1) საუკეთესო მსროლელები: რენატა ტერ ოვანესოვა, ცოლოკ ზაქარიანი და დავით ნემსიწვერიძე. 2) იღებენ მზის ვანებს, 3) ფიზკულტურული ვარჯიშობა, 4) სწმენდენ კარტოფილს სადილისათვის, 5) ამიერ-კავკასიის პიონერები ესაუბრებიან ბერლინელ პიონერს ლიუსიან გერტს, 9) კლუბში: უკრავენ პიანინოზე.

# ახალი კოლხიდა

წინად ეს მხარე არვის ახსოვდა
ყარდა ჭაობი, იყო ციება,
შავი ბატონი გლეხს ტყავს აძრობდა
დუღდა სისხლი და შურის ძიება.
მეგრულ ფაცხის წინ იდგა სინესტე,
და მალარიის ბერავდა ქარი.
შრომობდა გლეხი და სისასტიკით
მიჰქონდა ბატონს ეგ ნაოფლარი.
დღეს შეიცვალა დრო და პირობა
და აქაც გაჩნდა მხარე ახალი,
აგრიალებულ წელთა რიცხვებმა
გადაიტანა ტანჯვა მრავალი
სოციალისტურ აღმშენებლობით
გატაცებული მოქალაქენი,
აშრობენ ჭაობს, ჭაობი შრება
ჭაობი ჭუჭყის შხამით ნაფენი.
როცა ხშირ ტყეში იყო სიცხე და
ყარდა ჭაობის ყვითელი ხავსი,
ვიყავით ტყეში შაბათობაზე—
კომკავშირელნი რიცხვით ოთხასი.
ყველას მიგვქონდა ბარი და პური
და იმედები ახალ შეგნებით.
ოთხასი კაცი მკლავით და გულით,
არხის გაყვანის გეგმას შევებით.
გადაშლილია ჩვენი ლაშქარი
ჩვენი მკლავები გახდა ფოლადი.
ვამბობთ ბიჭები;
—გახმეს ლაქაში,
მოვიდეს ჩაის და რამის დოვლათი.
წინად მხრჩოლავი კოლხიდის მხარე
წვიმით, ჭაობით ხავსით, ციებით,
აყვავდება და გაიფურჩქნება.
ჩაის და რამის პლანტაციებით.

**კლიმენტი გოგიავა**

# იზრდება გერმანიის რევოლუციის ძალები

31 ივლისს მოხდა გერმანიის რეიხსტაგის არჩევნები. კომუნისტურმა პარტ. რომლის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ ყველა პარტიები, დაწყებული სოციალ-ფაშისტებით და გათავებული ფაშისტებით, უსაშინელესი ტერორის მიუხედავათ შეკრიბა თითქმის 5 ნახევარი მილიონი ხმა.

კომუნისტური პარტიისათვის საპარლამენტო არჩევნები, არ არის თვითმიზანი. გერმანიის პროლეტარული რევოლუციის ბედი სწყდება არა რეიხსტაგში, არამედ გრანდიოზულ კლასობრივ ბრძოლებში, რომლებიც კომპარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს გერმანიის სამრეწველო ცენტრებში. მიუხედავათ ამისა, კომპარტია იღებს მონაწილეობას საპარლამენტო და სხვ. არჩევნებში, რომ დარაზმოს მუშები კლასობრივი ლოზუნგების და ამოცანების გარშემო. სოციალ-ფაშისტებისთვის საარჩევნო ბიულეტენები წარმოადგენენ მასების მოტყუების საშუალებას. ამ ბიულეტენების საშუალებით სოციალ-ფაშისტებმა თანდათანობით მთელი ძალა-უფლება გადასცეს ბურჟუაზიას და ნიადაგი მოუმზადეს ჰიტლერის დიქტატურას. ახლა უკვე ბურჟუაზია თვლის, რომ სოციალ-დემოკრატიამ შეასრულა თავისი როლი და აწ იგი არ არის საჭირო; 20 ივლისს სოციალ-დემოკრატი მინისტრები კინწის კვრით გარეკეს სამინისტრო სავარძლებიდან.

ფონ-პაპენმა უბრალო ბრძანებით გააუქმა ვეიმარის კონსტიტუციის ნაფლეთები.

ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი გერმანიაში უაღრესად გამწვავდა. 7—8 მილიონი უმუშევარი. მშრომელი მასების არაჩვეულებრივი გაღატაკება, რასაც ბურჟუაზიული კალმოსნებიც კი ვერ მალავენ, გაკოტრებული ბანკები, ცარიელი სახელმწიფო კასა, უამრავი საშინაო და საგარეო ვალები, — ასეთია დღეს გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა.

ბურჟუაზია ცდილობს ამ მდგომარეობას თავი დააღწიოს ტერორის გაძლიერებით მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. გიტლერის ბანდების თავისუფალი თარეში ამ ამოცანას ემსახურება. მეორეს მხრივ შოვინისტურ და ნაციონალისტურ განწყობილებათა გაღვივებით ბურჟუაზია ლამობს მასების მოტყუებას, მისი კლასობრივი სიფხიზლის მიძინებას, მისი ყურადღების მიპყრობას „გარეშე მტრებზე“ — შინაური კლასობრივი მტრის ნაცვლად.

რეიხსტაგის არჩევნებმა დაამტკიცა, რომ მუშათა კლასი საკმაოდ ფხიზელია, რომ იგი არ წამოეგება ბურჟუაზიის შოვინისტური პროვოკაციის ანკესზე. გერმანიის „კომუნისტური პარტია, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ მუშათა კლასის საარსებო ინტერესებისათვის, ხდება გერმანიის პროლეტარიატის უფრო და უფრო ფართო მასების ხელმძღვ. გერმანიის სამრეწვ. პროლეტარიატის ერთმა მესამედმა ხმა მისცა ფაშისტური ტერორისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. გერმანიის სამრეწველო მუშების ერთმა მესამედმა ხმა მისცა ვეიმარის რესპუბლიკისა და ჰიტლერის „მესამე იმპერიის“ წინააღმდეგ. გერმანიის პროლეტარიატის ერთმა მესამედმა ხმა მისცა კომპარტიას, სოციალისტურ საბჭოთა გერმანიას, რევოლუციონურ გამოსვლას კრიზისიდან. სამრეწველო მუშების ამ ერთ მესამედთან ერთად კომპარტიას ხმა მისცა ასეულმა ათასმა სასოფლო-სამეურნეო მუშამ, -უღარიბესმა გლეხმა, და მოსამსახურემ, რომლებმაც კომპარტია თავის ხელმძღვანელად აღიარეს“ („პრავდა“).

გერმანიის კომპარტიის მიერ უსაშინელესი ფაშისტური ტერორის პირობებში მიღებული ხუთ ნახევარი მილიონი ხმა იმის მაჩვენებელია, რომ „გერმანიის რევოლუციის ძალები იზრდება და მაგრდება“.

























გერმანიის რეიხსტაგის კომუნისტ-დეპუტატების ჯგუ

I. ერნსტ ტელმანი, II. გერმან რემმელე, III. კლარა ცეტკინ IV. ვილჰელმ პიკ, V. ფრიც ჰეკკერტ, VI. ვილლი მიუნცენბერგ, VII. ერნსტ ტორგლერ, VIII. ანტონ იადაშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1918 წლის 30 აგვისტო

14 წლის წინ, 1918 წლის 30 აგვისტოს, ყოფ. მიხელსონის ქარხანაში მიტინგზე მოულოდნელად მივიდა **ვლადიმერ ილიჩი.** მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ მას მუშები. ოც წუთს ილაპარაკა ლენინმა ჩეხო-სლოვაკების წინაალმდეგ ბრძოლის შესახებ, სასურსათო კრიზისზე. ეს იყო ლენინის მეორე გამოსვლა ამ დღეს (პირველად ის გამოვიდა ბაუმანის რაიონში).

მიტინგის შემდეგ ვლ. ილიჩი გამოვიდა ქარხნიდან. მას გარს ეხვია მუშათა ჯგუფი. ილიჩის გვერდით მიდიოდა ორი ქალი, რომლებიც ესაუბრებოდნენ მას. ავტომობილამდე დარჩა რაღაც ოციოდე ნაბიჯი. უცებ გაისმა სროლის ხმა. პირველი ტყვია მოხვდა ლენინის გვერდით მიმავალ ქალს. შემდეგი ორი — ვლადიმერ ილიჩს. მძიმედ დაჭრილი ლენინი მისმა შოფერმა **გილმა** მუშების დახმარებით ავტომობილში შეიყვანა და წაიყვანა ბინაზე. რამდენიმე წუთში მსროლელი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ესერების პარტიის წევრი-ქალი **ფანნი კაპლანი.**

***

თავდასხმა ლენინზე მოეწყო სამოქალაქო ომის უაღრესი გამწვავების პერიოდში, როცა თავი წამოჰყვეს ინტერვენტების დახმარებით გათამამებულმა ყველა კონტრრევოლიუციონურმა დაჯგუფებებმა დაწყებული ესერ-მენშევიკებით და გათავებული პირწავარდნილი მონარქისტებით. ჩეხებმა დაიკავეს სამარა, უფა, ყაზანი, ეკატერინბურგი. არხანგელსკში თეთრგვარდიელებმა მოახდინეს გადატრიალება, ჩრდილოეთი დაიკავეს ინგლისელებმა, მოკავშირეების დახმარებით იაროსლავში მოეწყო კონტრრევოლიუციონური აჯანყება. კონტრრევოლიუციის რკალი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა საბჭოთა რესპუბლიკის გარშემო. ასეთ პირობებში შინაური და გარეშე კონტრრევოლიუციისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენდა **ლენინის** —რუსეთის და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის განსახიერების, საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის დიდი ორგანიზატორის მოკვლა, ოქტომბრის რევოლიუციის თავის მოკვეთა. ამ სამარცხვინო როლის შესრულება იკისრეს ესერებმა. მთელი შარაზმული ბრბო გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ესერების ტერორისტულ მოქმედებას. მისთვის ხელსაყრელი იყო ის, რომ მუშათა კლასის ბელადების ფიზიკურად განადგურება / იკისრა პარტიამ, რომელიც თავის თავს „სოციალისტურს" უწოდებდა. ესერების საფარით ბნელ ძალებს სურდათ კონტრრევოლიუციონური მოძრაობა „სახალხო" მოძრაობად გაესაღებიათ.

ესერებმა ისარგებლეს იმით, რომ ლენინი ხშირად დადიოდა მუშათა კრებებზე, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე, რაიმე განსაკუთრებული გამაფრთხილებელი ზომების მიუღებლად და მხოლოდ შემთხვევით ვერ მიიყვანეს ბოლომდე თავისი ვერაგული განზრახვა. ლენინი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მისმა მძლავრმა ორგანიზმმა დასძლია ეს მძიმე ჭრილობა. ლენინი დარჩა ცოცხალი, რომ მტრების რისხვად განეგრძო რევოლიუციის ხელმძღვანელობა და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია.

ესერები და მათი მფარველები — ინტერვენტები ანგარიშში მოსტყუვდნენ. თავდასხმამ ლენინზე უდიდესი გავლენა მოახდინა მუშათა მასებზე. პროლეტარები უფრო მჭიდროდ დაირაზმენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

აღშფოთება ესერების წინაალმდეგ ისეთი ძლიერი იყო, რომ ესერების ცეკა იძულებული შეიქნა გამიჯნულიყო ამ აქტისაგან. ესერი **გ. სემიონოვი,** ამ თავდასხმის უშუალო ორგანიზატორი 1922 წ. გამოშვებულ ბროშურაში სწერდა, რომ ცეკას ამ საქციელმა საშინელი გაოცება და არევ-დარევა გამოიწვია ესერების რიგებში.

მაგრამ რა ფასი ჰქონდა ამ გამიჯვნას. გამოძიებამ სავსებით დაამტკიცა, რომ ესეოების ცეკას უშუალო კავშირი ჰქონდა თავდასხმასთან. სავსებით დადასტურდა ეს ესერების პროცესზეც. ორიოდე წლის წინად მენშევიკური ცეკაც უარყოფდა თავის მონაწილეობას ინტერვენციის მზადებაში იმ დროს, როცა მისი ემისრები თავის ჩვენებაში უდაოთ ამტკიცებდნენ ამ მონაწილეობას.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ, როცა ესერების პროცესზე სავსებით გამოირკვა ესერების პარტიის კონტრრევოლიუციონური ხასიათი და საქმიანობა, რუსი და საზღვარგარეთელი მენშევიკები მხურვალედ გამოექომაგენ მათ. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ესერები და მენშევიკები ხელიხელჩაკიდებული აკეთებდენ თავიანთ კონტრრევოლიუციონურ საქმეს. ისინი ერთად მხურვალედ თანამშრომლობდნენ თეთრგვარდიელებთან კონტრრევოლიუციონური აჯანყების მოწყობაში, პურ-



რევოლვერი მოშხამული ტყვიებით, რომლითაც დასჭრეს ლენინი.

მარილით ხვდებოდნენ ინტერვენტებს, ხვრეტდნენ რევოლიუციონურ მუშებსა და გლეხებს. ამიტომ ესერ-მენშევიკები იცავენ ერთმანეთს. ხელი-ხელს ჰბანს და ორივე კონტრრევოლიუციონურ პირს.

***

რევოლიუციონური მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა კიდევ უფრო მჭიდროთ დაირაზმა ლენინური პარტიის გარშემო საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. 12 სექტემბერს, წითელი არმიის მიერ ყაზანის აღების შემდეგ, ლენინმა მიიღო ასეთი დეპეშა:

**„ძვირფასო ილიჩ! ყაზანის აღება პასუხია ერთს თქვენს ჭრილობაზე, მეორე ჭრილობის პასუხი იქნება სამარა".**

ლენინის მძლავრმა ორგანიზმმა ჩქარა დასძლია ჭრილობა. 16 სექტემბერს ის უკვე თავმჯდომარეობს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. 18 სექტემბერს კი ასეთ წარწერას აკეთებს ოფიციალურ ბიულეტენზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ:

„ამ ბიულეტენის საფუძველზე და აგრეთვე იმის გამო, რომ თვითონაც კარგად ვგრძნობ თავს, უმორჩილესი თხოვნაა—ნუ შეაწუხებენ ექიმებს, ტელეფონით გამოძახებით და კითხვებით".

20 სექტემბერს კი „პრავდა"-ში იბეჭდება ლენინის ცნობილი წერილი „ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ". ეს სტრიქონები, რომლებიც ლენინმა დასწერა მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, ახლაც, გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, უაღრესად აქტუალურია.

***

14 წელი გავიდა ამ დღიდან. საბჭოების ქვეყანა გამარჯვებული გამოვიდა სამოქალაქო ომის ქარცეცხლიდან. თანდათანობით მოიშუშა იმპერიალისტური ომით, სამოქალაქო ომით და ინტერვენციით მიყენებული ჭრილობები. ფერფლიდან აღადგინა დანგრეული ფაბრიკა - ქარხნები. წარმატებით ამთავრებს 1-ლ 5 წლედს და ემზადება უკლასო საზოგადოების მშენებლობისათვის მეორე ხუთწლედში.

საბჭოთა კავშირი წარმოადგენს სოციალიზმის ძლევამოსილ ციხე-სიმაგრეს. იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს მისი დათურგვნა. ლენინის საუკეთესო მოწაფის — **სტალინის** მეთაურობით საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი მიდის წინ — ახალ-ახალ გამარჯვების გზით.

1918 წ. 30 აგვისტო დაუვიწყარი დარჩება საბჭოთა კავშირის და საერთაშორისო მუშათა კლასის მეხსიერებაში, როგორც ერთ-ერთი უსაძაგლესი ფურცელი ესერ-მენშევიკური მოღალატეობის სამარცხვინო ისტორიიდან.

**ვი—ნი.**

# ამიერ-კავკასიის მშრომელთა სიტყვა

**ჩვენ, დავეუფლეთ ოქტომბრის დღეებს:**
**ამხანაგური, ძმური სალამით.**
**რესპუბლიკებმა შექმნეს სიმხნევე—**
**ფედერაციის გაშლილ ალამით.**

**ხედავთ! ამიერ-კავკასიელებს,**
**„დღე გაუთენდა ნათელ მზიანი",**
**დღე! გვეძახოდენ ჩვენ აზიელებს,**
**შრომის გულმკერდზე არ ჩანს ზიანი.**

დავსცხოთ, ველებზე ნავთის ბურღები,
**ბათომს აზნავთი გულზე ეპკუროს**
**და რასულ ზადეს გზები ურგები,**
**მათ წარსულ ყოფას გადაეხუროს!**

**დავსცხოთ ხუთწლედში ყველა გვირაბებს:**
**ტყვარჩელს, ანდეზიტს და პერევიხას,**
**„ცათამბრის აწვდილ" მთებს ვაყირავებთ,**
**არ გვეშინია ჩვენ შერევიხა.**

**კუშისის ტბიდან, სევანის ტბამდე**
**გზები მიდიან საამხანაგო.**
**და კარაკლისის გაშლილი ბადე**
**გვიწვევს ალპების დახანახავთ.**

გადაარეთ, შეხეთ მინდორებს,
ხოლტების რაზმი სერავს და ბურღავს.
**თავფარავანი ელდენს ატბორებს,**
**ზაჰესი ჰესებს უმზადებს დუღაბს.**

**გადაიარეთ ხუთწლედის გზებზე:**
**თბილისო, ბაქო და ერევანო.**
**ჩვენ დავიფიცავთ საბჭოთა მზეზე—**
ვერ შეგვაშინებს აწი ვერავინ

**რესპუბლიკების საჭეს მომართულს**
**ტემპებით ავსილ რეკონსტრუქციას,**
**აშენებს მუშა წელგამართული—**
მან ძველ ადათებს გვერდი უქცია.

**ეხლა გულიდან ვაშენებთ გიგანტს,**
**ძმებო გაშალეთ, მარჯვეთ მკლავები.**
ყოველ კუთხიდან ჩვენ წვლილი მიგვაქვს
**რომ მოვიშოროთ ირგვლივ ხვავები.**

**ყოველ კუთხიდან დაჰკრავს ჩაქუჩი,**
**დაჰკრავს ცხოვრება, დაჰკრავს მანქანა.**
**ჩვენ ინდუსტრია დაგვასაჩუქრებს**
**რესპუბლიკებო — შრომის ქვეყანავ.**

**მთების გულიდან ამოვთხრით გვირაბს,**
**მთების გულებსაც ავაგუგუნებთ,**
**ახე მაჯებმაც იფეთქოს ხშირად**
**და დავეუფლოთ ხაუკუნოებს.**

ყოველ კუთხიდან, შრომა აშუქებს,
შრომობს დამკვრელი, შრომობს მანქანა;
**ჩვენ ინდუსტრია დაგვასაჩუქრებს;**
**რესპუბლიკებო — შრომის ქვეყანავ.**

ჩვენ დავეუფლეთ ოქტომბრის დღეებს,
**ამხანაგური, ძმური სალამით,**
**რესპუბლიკებმა შექმნეს სიმხნევე**
ფედერაციის გაშლილ ალამით.

**წლებმა გასტეხა ჩაგვრის სამეფო,**
**წლებმა გრიგალი გადაატარა,**
**ერევან-ბაქო ერთმანეთს შეფობს.**
**ტფილისის გულმაც გამოიდარა.**

**სანდრო ეულენტი.**

# მეტი ფართო მოხმარების საგნები ბაზარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კერძო ვაჭრისა და კერძო ვაჭრობის გაძევება კიდევ არ ნიშნავს ყოველგვარი ვაჭრობის მოსპობას, პირიქით, კერძო ვაჭრობის გაძევება გულისხმობს საბჭოთა ვაჭრობის ყოველმხრივ განვითარებას და კოოპერატიულ და სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციების ქსელის გაშლას მთელს საბჭოთა კავშირში“.

ეს არის აღნიშნული საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და საკავშირო სახკომსაბჭოს 1931 წ. 12 მაისის დადგენილებაში „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“.

ხელმძღვანელ პარტიულ და მთავრობის ორგანოების უკანასკნელი დადგენილებები საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ წარმოადგენენ პარტიის მიერ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის თაობაზე მოცემულ მთელ რიგ დადგენილებათა შემდგომ განვითარებას. ეს დადგენილებები მიზნად ისახავენ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას და ამაღლებას.



ფეხსაცმელების ფაბრიკაში „პარიზის კომუნა“ (მოსკოვი) უკვე რამდენიმე თვეა, მუშაობს ინდივიდუალურ დაკვეთების ცეხი. დაკვეთები მიიღება მაღაზიებში და სრულდება ფაბრიკაში.

სურათზე—გამზადებული ქალის ფეხსაცმელები, შეკერილი ინდივიდუალური დაკვეთით



არტელ „რგოლის“ დამკვრელები ამხ. ჯან კოჩიანი და გრიგორიანი დამზადებულ პროდუქციას აბარებენ საწყობში

იმ ღონისძიებათა რიგში, რომლებიც ტარდება საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის, უპირველესი ადგილი უჭირავს ფართო მოხმარების საგნების წარმოებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად. მტკიცებას არ საჭიროებს, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი გაშლა, პურის და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების წარმატებით შესრულება ბევრათ არის დამოკიდებული სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების კარგს ორგანიზაციაზე. ამ სამრეწველო საქონელში კი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს ფართო მოხმარების საგნებს.

ყველა ჩვენს სამრეწველო ცეხებში, სადაც კი ეს მოსახერხებელია, ეწყობა და მომავალში, კიდევ უფრო ფართოდ უნდა მოეწყოს ფართო მოხმარების საგნების წარმოება. მნიშვნელოვანი როლი ამ საქმეში ეკისრება სარეწაო კოოპერაციას, რომელსაც მთავრობის ორგანოების უკანასკნელი დადგენილებების ძალით მნიშვნელოვნი მატერიალური და ორგანიზაციული შესაძლებლობები მიეცა ამ მხრივ.

სარეწაო კოოპერაციამ სავსებით უნდა გაახალდოს ის ვალდებულებები, რომლებიც მას ეკისრება ფართო მოხმარების საგნების დამზადების საქმეში.

— მეტი ფართო მოხმარების საგნები ბაზარზე!

მაგრამ ამასთან ერთად, ისე, როგორც ბოლშევიკური მუშაობის ყოველ ნაბიჯზე, რაოდენობასთან ერთად არ უნდა იქნას დავიწყებული ხარისხიც.

— **მეტი კარგი და იაფი ფართო მოხმარების საგნები საბჭოთა ვაჭრობისათვის.**

**ნ. ტ.**



სარეწაო არტელმა „ელვამ“ (თბილისი) მოაწყო ელექტრონის ზარების, ფეჩების და უთოების მასიური დამზადება. სურათზე დამზადებული პროდუქცია



არტელ „რგოლის“ დაჯილდოებული დამკვრელი ამხ. მაისურაძე ახარისხებს არტელის სახელოსნოში დამზადებულ კარდლებს

გურგენ მაჭარი *)

# სასაფლაო

რატომ არის, რომ ყოველ სასაფლაოს თავისი განსაკუთრებული ელფერი აქვს!

აი, თუნდ ეს უბრალო ხე. მშვენივრად გაიხარებდა რომელიმე აივნის წინ, აქ კი სასაფლაოს არემარესავსებს რაღაცა იდუმალი გზნებით. გგონია, რომ ამ ხეს რაღაცას თქმა უნდა, მაგრამ არ ძალუძს მეტყველება.

აი, სასაფლაოს ლოდიდან აფრინდა ხარაბუზა, აფრინდა ისევე ჩვეულებრივად, როგორც ეს ქალაქის რომელიმე ბაღში ხდება ხოლმე, პწინავს მზეზე და იმალება ფოთლებში. მერე გაფრინდება ქალაქისკენ, გაეხვევა ფანჯრის ფარდებში და იზუილებს. იქ კი იგივე ხარაბუზა სულ სხვანაირად მოგეჩვენება...

აი, სასაფლაოს დარაჯი! ხომ შეეძლო ჩვენს ფარსელას ქალაქის ბაღის დარაჯად გამხდარიყო! მაგრამ არა! ფარსელა განუყრელია სასაფლაოსთან: მზისგან გარუჯული, შავ წვერულვაშით შეგინგლული. ფარსელა წარმოუდგენელია სასაფლაოს გარეშე.. ჰო, როცა სურსათ-სანოვაგის საყიდლად ბაზარში მიემგზავრება ხოლმე, მაშინ ფარსელა სხვა ფარსელაა, ნამდვილ ფარსელად იგი მაშინ მოსჩანს, როცა სახლში ზის და მიცვალებულებს ელოდება! ხუთმეტი წელიწადია, ის აქ მუშაობს. ვინ მოსთვლის, ვის არ იცნობდა ფარსელა. რამდენი მისი ნაცნობთაგანია აქ, მიცვალებულთა შორის: და არამც თუ გვარი და სახელი, არამედ მათი ყოველივე ავანჩავანიც იცის.

— აქ განისვენებს ექიმი გურგაროვი. როცა ცოლი მოუკვდა ერთადერთი მაჩუქა... არ უყვარდა განსვენებულს თავისი პეულლე და სიკვდილის წინ სთქვა: „მოშორებით დამმარხეთო!“ დიაღ! აი, ესეც ხელოსან სეთოს კუთხე. რა ულმერთოდ ყლაპავდა ცხონებული! ერთი ათჯერ მაინც უქეიფნია და უცეკვნია დედის საფლავზე, ეხლა კი... აი, იქ ხომ ხედავ...

და თვალწინ წარმოუდგა სოფლის ამაოება, ადამიანთა გაუტანლობა, წვრილმანი მზრუნველობა, არსებობისათვის ბრძოლა, წარჩინება და სიდუხჭირე.

დღეში ორჯელ შემოუვლიდა სასაფლაოს და ოდნავი ნაკლიც კი არ გამოეპარებოდა მის გამჭრიახ თვალებს. თუ რომელიმე საფლავი რიგზე არ იყო, საყვედურით მიმართავდა მიცვალებულს:

— ეჰ, შე ბედოვლათო! როგორ გეტყობა, რომ მასწავლებელი ხარ. შენი გვირგვინები სულ გაუზიდნიათ, შენ კი აინუნშიაც არ აგდებ. რა გენაღვლება, მე ვრწყავ ყვავილებს, შენ ახმობ...

ეს რაღაა, ერთი ამას დამიხედეთ: სიკვდილის შემდეგაც ყოყოჩობს, წიხლი წაუკრავს და ქვა გაუმრუდებია.. ვაი, შენი ცოლის ბრალი!

დაფრატუნებს ჩვენი ფარსელა, თავის თავს ემასლაათება, ყოველივეს აწესრიგებს,

მუშაობს იმ დრომდე, ვიდრე ყარაჩი ცოლი არ გადმოსძახებს: „ფარსელ, სადილის დროა!“.

მშვიდი ცოლქმარი მშვიდად და უდარდელად ატარებდნენ დღეებს ამ მკვდართა სამეფოში. მათი მყუდროება მხოლოდ მაშინ დაირღვეოდა, როცა ვინმე გამოესალმებოდა წუთი სოფელს.

— ამ ბოლო დროს, რაღაც ცოტა ხალხი კვდება,—იტყოდა ხოლმე ფარსელას ცოლი და თან ჩაის სრუპავდა. ფარსელაც მოსვამდა თუხთუქის ჭიქიდან დაუმტკბარ ჩაის და ცოლს შეესიტყვებოდა:

ბევრი კვდება, თუ ცოტა კვდება, სულ ერთი არ არის! ბოლოს ხომ მაინც უნდა მოკვდნენ?!

ფარსელას აზრით მთელი ქალაქი ამოსწყდებოდა და მასთან სიკვდილს კი რა ხელი ჰქონდა? მის მოვალეობას შეადგენდა მიცვალებულთა შეხვედრა-მიგებება და მათი მოვლა-პატრონობა. ფარსელა თანდათან ურიგდებოდა იმ აზრს, რომ იგი უკვდავი იყო.

ექვსი წლის წინედ ფარსელას ძმა გარდაიცვალა. იმის მეტი არავინ არ გააჩნდა, უცოლშვილოდ ამოწყდა. სალთი კაცი იყო, რომელიღაც კოლექტივის ადგილკომში მსახურობდა. ფილტვების ანთებამ გადაიტანა, ფარსელამ განსაკუთრებული ადგილი აურჩია განსვენებულს, მყუდრო და განცალკევებული, რომ მესაფლავეთა წერაქვს ადვილად არ მიეგნო.

პირველ ხანში გულმოდგინეთ უვლიდა ფარსელა თავისი ძმის საფლავს, შემდეგ,— როგორც ეს საზოგადოთ ხდება ხოლმე,— ხელი აიღო. ექვსი წლის განმავლობაში მისი ძმის საფლავი თითქმის მიწასთან გასწორდა. იშვიათად, ძალიან იშვიათად, ჩაუვლიდა ხოლმე ფარსელა გვერდით და წაიბუტბუტებდა: „შენ, ჩემო ძმაო, ადგილკომო, ჩვენი ხარ, ჩვენი; სხვებს კი ჩვენდამი ღვარძლით სავსე გული აქვთ..

სასაფლაო მთვარის სხივებშია გახვეული. ფარსელა უკიდებს ჩიბუხს და ბოლს პირდაპირ მთვარისაკენ გზავნის, მისი შავტუხა ცოლი კი თეთრ კბილებს აქათქათებს და გაცხარებული ლილიფარს აკნატუნებს.

ხანდახან კი ისეთი ჩუმი ღამე ჩამოწვებოდა, რომ აბისალას (ასე ერქვა ფარსელას ცოლს) ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში. ამ დროს აბისალას თითქოს ესმოდა საფლავში მკვდრების ტრიალი და ჩონჩხების ხმაური. ხშირად აბისალა შიშს აუტანია, ამდგარა საჩქაროდ გადმოუშვერტყია ლილიფარას ქერქი კაბის კალთიდან და... ქმრისათვის მიუმართავს: „ადე კაცო, ძილის დროა! ჩვენც რაღა — ვითომდა საბედნიეროდ გავჩენილვართ: სხვები იხოცებიან, ჩვენ მათ უნდა უდარაჯოთ“!

⁂

სასაფლაოს სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით დაბანაკდა, პატარა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიაც სამი არხეოლოგი სტუდენტი იყო. მუშებმა ნიჩბები და წერაქვები გვერდზე გადასდეს, მხარ-თეძოზე წამოწვნენ და პაპიროსებს მოუკიდეს.

— მაშ ასე, — მიმართა ჩალისქუდიანმა არხეოლოგმა სტუდენტს, — თანახმად ისტორიული კვლევა-ძიებათა ,სარდლები აქ უნდა იყვნენ დაკრძალული. ჩემი აზრი ასეთია: უნდა გათხრა ვაწარმოოთ ძლიერ ფრთხილად და რაც ღირსშესანიშნავი რამ აღმოჩნდება სათუთად უნდა გადავარჩიოთ. მაშ ასე.. გათხრა აი, აქედან დაიწყეთ.. იმუშავეთ ოთხ საათამდე, ოთხზე გამოცხადდით ჩემთან. ეხლა-კი... ნახვამდის.

არხეოლოგი წავიდა ქალაქისაკენ; სტუდენტები მუშებითურთ შეუდგნენ მუშაობას.

ფარსელამ შორიდანვე შენიშნა თუ არა უცხო ხალხი, დიდრონის ნაბიჯით გამოეშურა მათკენ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მის სამფლობელოში ვიღაც უცნობნი შეიჭრენ დაუკითხავად. ვინ არიან? რა უნდათ?

მუშებმა გადაყარეს პაპიროსის ნამწვავები და იქვე ჩამოსხდნენ დასასვენებლად.. სტუდენტები კი ზომავდნენ, ჰგეგმავდნენ მოედანს.

— გაგიმარჯოს ბიძია, — მიესალმა ერთი სტუდენტი, — აქ ხომ არა მსახურობ?

— მე სასაფლაოს დარაჯი ვარ! — ფარსელა იმდენად იყო შეწუხებული ამ უდიერი ხალხის ყოფნით, რომ ვერც კი იგრძნო სტუდენტის დამცინავი კილო.

— აფერუმ, ბიჭო! მერე როგორ არიან შენი მიცვალებულნი?

— თქვენ აქ რას აკეთებთ? — პასუხის ნაცვლად შეეკითხა ცნობისმოყვარე ფარსელა.

— გათხრას ვაწარმოებთ.

— რისთვის?

— სარდალს ვეძებთ.

— როგორ თუ სარდალს ეძებთ! ბიჭოს! ერთი ამათ დამიხედეთ და! ჯერ ჩემთვის უნდა გეკითხნათ; მე აქ არავითარი სარდალი არ დამიმარხავს. თქვენ იქნება კათალი-



სალიბაურის (აჭარისტანი) საბჭოთა მეურნეობა. ამხ. ჩილაძის დამკვრელი ბრიგადა, რომელმაც ჩაის მოკრეფის ივლისის გეგმა 118 პროცენტით შეასრულა

---

*) გურგენ მაჭარი ახალგაზრდა მწერალია. იგი დაიბადა 1903 წ. ქ. ვანში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1918 წელს. დღემდე გამოცემული აქვს მოთხრობების სამი მოზრდილი წიგნი. სწერს აგრეთვე ლექსებს და პოემებს, გურგენ მაჭარიმ ბოლო დროს დაბეჭდა ლექსების სერია შემდეგი ორიგინალური სათაურით „სოვეტ-ნოვა“. ეს არის საიათნოვას პოეზიის გადახალისება. გურგენ მაჭარის ამით სურდა საიათნოვას ძველი ფორმისთვის მიეცა ახალი შინაარსი. მის კალამს ეკუთვნის ქართველი პოეტების რამდენიმე ლექსი სომხურად ნათარგმნი (გრიშაშვილი, მაშაშვილი, კონ. ლორთქიფანიძე და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგნიტოსტროის მეორე-რიგის კოქსის ბატარეის მშენებლობა

კოსი გნებავთ? მაგ კუთხეში კი ადგილკომი მარხია...

— აბა, შენ საიდან გეცოდინება, ბაბუა, ეს ძველთაძველი დროის საქმეა.. საუკუნეთა...

არხეოლოგები სალამომდე მუშაობდნენ... ერთი ცხენის ნალი წაიღეს და წავიდნენ ქალაქისაკენ. ფარსელამ ძლივს შეიკავა თავი... უნდა ეთქვა, რომ ის ცხენის ნალი, რომელიც მათ წაიღეს, მისმა ცოლმა აბისალამ დაფლა იქ, ამ სამი წლის წინად, როგორც უშვილობის წამალი. ძალიან თავი მოჰქონდათ იმ ნაპოვნი ცხენის ნალით, ფარსელამაც ცუდება არ გაუფუჭა ჩვენს არხეოლოგებს, გუნებაში კი ჩაიცინა:

— სარდლის ცხენის ნალი ხომ იპოვეთ შვილოსა, ახლა იქნება თვითონ სარდალი მოძებნოთ!

მეორე დღეს გაუთენებლივ გაეშურა ფარსელა ბაზარში. შუადღისას დაბრუნდა თუ არა სახლში, ცოლმა მიახარა: „ქალაქელები მოვიდნენ და მიწას უკვე სთხრიანო". ფარსელა ხუმრობის გუნებაზე იყო და უნდოდა გაემხილა ცოლისათვის იმ ნალის თავგადასავალი, მაგრამ სიჩუმე ამჯობინა. კარგად იცოდა ცოლის ამბავი: თავის სიბერწეს ფარსელას მოახვევდა თავზე. შებერტყა გამტვერიანებული ჩექმები და მუშებისაკენ გასწია. ფარსელას თავზარი დაეცა: მიწა კარგა ბლომად აეთხარათ და მისი ძმის საფლავიც ზედ მიეყოლებინათ. მათი განათხარი სამარეზე ღრმა იყო.

ფარსელამ აათვალ - ჩაათვალიერა იქაურობა, თითქოს რაღაცას ეძებსო და შენიშნა...

ცოტა მოშორებით, ნათხარ და ნესტიან მიწაზე მოეგროვებინათ ადამიანთა ძვლები; იქვე იყო ორი თავის ქალა. ფარსელა შეშლილივით იცქირებოდა აქეთ-იქეთ.

— ბიძია, — შეჰყვირა იმავე აყბედებულმა სტუდენტმა, — შენს სამფლობელოში ჩვენ აღმოვაჩინეთ ორი სარდალი.. რა ვუყოთ ახლა?

ფარსელას გული გადაუტრიალდა.

საბრალო! მისმა დამაშვრალმა ძმამ, სამარეშიაც ვერ ჰპოვა მოსვენება. სიმწარისაგან ფარსელას უნდოდა დაეყვირა, უნდოდა აელო ნიჩაბი და დაეცხო არხეოლოგ სტუდენტისათვის, მაგრამ ვერაფერს ვერ აჯერხებდა, მერე ოდნავ წინ წაიწია და თვალებ გაშტერებული დაემხო შეგროვილ ძვლებზე. ყრუდ შეეკითხა:

— რომელია თქვენი სარდალი?

— ორივე, ბიძია, ორივ! ნუ გეშინიან, მაგრად წაჰკარი ფეხი, ეხლა ვერაფერს დაგაკლებს.

— ულმერთოებო!—ძლივს წაილუღლუღა ფარსელამ, — ძმის საფლავი ამიოხრეს! ძმის საფლავი აიკლეს..

მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. სტუდენტები შეკრთნენ. თვით ის ყბედი სტუდენტიც კი შეწუხებული იდგა და გაოცებული შესცქეროდა ფარსელას:

„ჭკუიდან ხომ არ შეიშალა ბებერიო"?

— როგორ თუ ძმის საფლავი, ძია? — შეეკითხა ერთი სტუდენტთაგანი.

— ჩემი ძმა, კაცო, ჩემი ძმა, სხვა ვინ უნდა იყოს კიდევ?

როდის გარდაიცვალა?

— ხუთი წლის წინეთ.

— რა კაცი იყო?

— ადგილკომი,

სტუდენტი დაიხარა ძვლებთან და დაიწყო გადარჩევა..

— რას აკეთებ?—შეეკითხა ფარსელა.

— ვარჩევ...

— მერე და როგორ უნდა გაარჩიო რომელია შენი სარდლის ძვლები და რომელია ჩემი უბედური ძმის ძვლები?

— მეცნიერება გამოარკვევს. — და კვლავ განაგრძნობდა ძვლების გადაწყობ-გადმოწყობას.

ფარსელა აენთო ცნობისმოყვარეობისაგან: ვაჰ, რა ხალხია! რა ოხრად უნდათ მიცვალებულთა ძვლები? ან რა მეცნიერება უნდა იყოს, ის მეცნიერება, რომელიც მკვდრების ძვლებთან არის დაკავშირებული? იქნება საფლავის ქურდები არიან?

— ეხლა რა უნდა უყოთ ამ ძვლებს?

— შენი ძმის ძვლები შენთვის იყოს და ეს სარდალის ძვლები კი მუშაში უნდა შევინახოთ მუზეუმში.

— მუზეუმში?

— მაშ რა გეგონა?

ფარსელა ჩაჩუმდა, ჩაფიქრდა და მერე მიუბრუნდა სტუდენტს:

— თუ ეგრეა, წაიღეთ ჩემი ძმის ძვლები მუზეუმში. სარდალი ვინა გდია, რომ აგრე უფოთხილდებით? მტარვალი იყო, საწყალ ხალხს სისხლს სწოვდა. ჩემი ძმა კი კავშირის წევრია... ნამუსიანი მუშაკი... ადგილკომიც კი იყო. ეხლა ღარიბების ხელისუფლებაა,.. და თქვენ ისევ სარდლის ძვლებს ეჭიდებით?!

თარგმანი სომხურით:

ი. გრიშაშვილისა.

# ელექტრომავა



ქიტინში სტალინისში. ამხ. გუდუ მდივანი საქ. სახკომსაბჭოს სახელით ამბობს მისასალმებელ სიტყვას

მატარებელი მიჰქრის 40 კილომეტრის სისწრაფით საათში.

ვაგონების ღია სარკმელები გაჭედილია გარედ გამოყოფილ თავებით.

ათასი თვალი გასცქერის ჭალებს, მთებს, ხეობებს.

შემხვედრ ნიავს მოაქვს არა ორთქლმავლის ჭვარტლი, არა გაცივებული ორთქლის შხეფები, არც ქვანახშირის და მაზუთის, არამედ ყანა-ბაღების, ბოსტნების და ტყეების სურნელება.

აღარ ქშინავს ორთქლმავალი, აღარ გრიალებენ მძიმე ბორბლები. უტოროსმანოთ, თითქმის უხმოდ მისრიალებენ ვაგონები და მატარებლის ასეთ მშვიდ მოძრაობაში, თუ მახვილი სმენა გაქვს, შეიძლება ყური მოჰკრა მინდვრად გასულ გლეხების „ოროველა"-ს ან მწყემსის სალამურს. ეს სოფლური იდილია არ დაირღვეოდა, რომ წინ არ გვეგებებოდეს მავთულებით გაქსელილი მაღალი ანძები — ძლევამოსილ ინდუსტრიის ეს უხმო მოწმეები, ან დროგამოშვებით მიდამოებს არ ედებოდეს სირენების უცნაური კივილი.

განმარტება არ უნდა, მკითხველი მიხვდება, რომ აქ ლაპარაკია ელექტრო-მატარებლის პირველ სამგზავრო რეისზე და იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ადამიანს აგრძნობინებს ელექტრო-მავლიან მატარებლით მოგზაურობა.

მაგრამ, რასაკვირველია, ეს სიამოვნება არ არის მთავარი, ის არც ყოფილა ძირითადი მოტივი, როცა წყდებოდა სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის საკითხი. ის მხოლოდ უფასო დამატებაა იმ უდავო უპირატესობის, რომელიც ელექტრომატარებელს აქვს ჩვეულებრივ მატარებელთან შედარებით.

მატარებელი მირბის ლიხის დაღმართზე 35—40 კილომეტრის სისწრაფით საათში.

გვემახსოვრებოდათ, რომ აქ თორმეტი კილომეტრის მანძილზე სამი ორთქლმავალი მომქანცავი ქშანწყვეტით მთელი ერთი საათის განმავლობში მიაჩოჩებდა მატარებელს. ელექტრომავალმა კი ეს მანძილი გაინავარდა 15 წუთში; სადგურ ლიხიდან კიდევ უფრო მოუჩქარა სვლას და მოულოდნელად შესრიალდა გვირაბში, როგორც გველი სოროში.

გვირაბში მხოლოდ სიგნალი შეგატყობინებთ, რომ აღმართი ავლილია, რომ იწყება დაქანება დასავლეთისაკენ.

თვით მატარებელს აჩქარება არ ემჩნევა, თუმცა ელექტრო-მავლის მუშაობა დაღმართის დაწყებიდან მთელ მეტამორფოზას განიცდის: აქიდან ელმავალი სწყვეტს დენის მიღებას საკონტაქტო ხაზიდან. ელმავალის მოტორები ხდებიან გენერატორებად, რომლებიც მატარებლის მოძრაობის ძალით თვითონვე ამუშავებენ ელდენს და უკანვე უბრუნებენ საკონტაქტო ხაზს თითქოს იმ ვალის დასაფარავად, რომელიც ზაჰესმა მოახმარა ელმავალს ვაკეზე და აღმართზე მოძრაობის დროს.



საზემოდ მორთული ელექტრომავალი „C. 1003"

ვალის გადახდა გრძელდება მანამდე, ვიდრე მატარებელი არ მიაღწევს სწორ დაბლობს.

ელმავალი სტოვებს გვირაბს, იწყება წიფის ოდესღაც საშიში დაღმართი მაქსიმალური დაქანებით და მინიმალური რადიუსის ხვეულებით.

მატარებელი მიჰქრის აუტოკებლად ერთხელ აღებულ სისწრაფით.

ლანდშაფტი ლანდშაფტს სცვლის, სერი-სერს მოსდევს, გორაკი-გორაკს.

ეს ჩხერიმელას ხეობა ისეთივეა, როგორიც გინახავთ: ნაზი, წარმტაცი. ცვლილება მხოლოდ ის არის, რომ აქა იქ რკინის გზის მაგისტრალს მოშორებით ბორცვებზე და მაღალ გორაკებზე დაინახავთ აღმართულ ანძებს.

— რის მაქნისია, რა არის მათი დანიშნულება?

ის ანძები დასაყრდენი ბურჯებია მაღალვოლტიანი ხაზისა, რომელიც აერთებს ორ ჰიდროცენტრალს — ზაჰესს და რიონჰესს.

ეს ანძები კი, რომელნიც ჩვენ მოგვდევენ, არ გვშორდებიან და ყოველ 70—80 მეტრის გარბენაზე მეორდე-



კოლმეურნეები ხვდებიან ელექტრომავალს სადგ. წიფაში

# გადალახულია

ბიან, — გახლავთ დასაყრდენი ბურჯები საკონტაქტო ქსელისა, რომელიც ზაჰესიდან გადმონაცემი ელდენით ჰკვებავს ჩვენს ელექტრომავალს.

—აბა სინჯეთ,—დასთვალეთ რამდენი მაღალ ვოლტიანი და რამდენი საკონტაქტო ხაზის ანძაა დადგმული სტალინისიდან ზესტაფონამდე? იოლი საქმეა, მაგრამ ვერ მოახერხებთ. სხვას, რომ თავი დავანებოთ, მოთმინება არ გეყოფათ ზესტაფონამდე.

ამ ხაზის მშენებელ მუშებს — გუშინდელ შორაპნელ და ხაშურელ გლეხებს კი ეყოთ გმირობა სულ რამოდენიმე თვეში 126 კილომეტრის მანძილზე აღემართათ 1.860 ანძა და გაებათ ქსელი საკონტაქტო ხაზის გასამართავად.

ისიც როგორ პირობებში?

ეს ბორცვები, ეს მწვანე გორაკები, რომლებიც ახლა ვაგონში მჯდომს გიტაცებს და თავის კალთებზე გასეირნების სურვილს გიძრავს, ასეთი არ ყოფილა ამ ზამთარში, როცა მიმდინარეობდა გადამცემი ხაზის მონტაჟი.

მთელი ეს მიდამო შარშან ზამთარში იყო განსაკუთრებით მრისხანე და დაუნდობელი.

მხრებამდე თოვლი, ქარბუქი, ყინვა, სუსხიანი ქარი ჰბორკავდა ბეტონზე მომუშავეების, ანძების დამდგმელების, ქსელის მონტიორების ხელებს.

განა ეს გლეხები — ამ ხაზზე თავდავიწყებით მომუშავენი—იყვნენ მითიური სიზიფები, რომ კრინტის დაუძრავად გადაეტანათ მრისხანე ბუნების მძაფრი შემოტევა?

უმძიმეს წუთებში მათაც შეიპყრობ და ადამიანური სულმოკლეობა, უიმედობა, სტიქიის წინაშე თავისი უძლურების შეგნება, ბრძოლის ასპარეზის მიტოვების სურვილი, მაგრამ მხნეობა, გმირული ამტანობა ისევ უბრუნდებოდათ, როცა გაიხსენებდენ, რომ

**„არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ“.**

მათ ნებისყოფას აოკებდა ფიქრის ერთი გაელვება იმაზე, რომ მილიონებთან ერთად ისინიც იბრძვიან ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის..

— სურამის უღელტეხილი, — ფიქრობდნენ ელექტროფიკაციის დამკვრელები, — რკინის გზის ტრანსპორტის — ამ ვიწრო ადგილის ყველაზე ვიწრო უბანია. თუ ეს უბანი უძლურია გაატაროს აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მოზღვავებული ტვირთი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პატარა მანძილზე მუშაობს 50 ორთქლმავალი, იხარჯება ასი ათასობით ტონა ძვირფასი საწვავი მასალა, რომელსაც ასე საჭიროებენ ახლა ჩვენი ქარხნები ჩვენი ტრაქტორები. რა იქნება ორი სამი წლის შემდეგ, როცა ამუშავდებიან ინდუსტრიის ახალი გიგანტები, გაყვანილი იქნება რკინის გზის ახალი ხაზები, დამთავრდება შავი ზღვის რკინის გზა, ერთი ორად გადიდდება მთავარი მაგისტრალის ტვირთბრუნვა? სურამის უღელტეხილი მაშინ ხომ ხამდვილ ჩიხად გადაიქცევა.

მხოლოდ ელექტრომავალი, რომლის ძალოვნება ოთხჯერ სჭარბობს ორთქლმავლისას; მხოლოდ ელექტრომავალი, რომელიც თანაბარი სიმძლავრით და სისწრაფით მოძრაობს წინ და უკან, რომელიც საჭიროებს იაფ და მარტივ რემონტს, რომლის სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი 70 პროც. შეადგენს; რომელიც ოთხჯერ ადიდებს რკინის გზის გამტარიანობის უნარს და სანახევროთ ამცირებს საექსპლოატაციო ხარჯებს, — მხოლოდ ასეთი ელექტრო-გიგანტი გამოიყვანს რკინის გზის მაგისტრალს ვიწრო ადგილიდან.

ასე მსჯელობდენ ელექტროფიკაციის დამკვრელები და ამ იდეით გატაცებული გმირები არ იხრიდნენ ქედს სტიქიის მრისხანების და ათას სხვა დაბრკოლებათა წინაშე.

დაკვრითი წესით იმართებოდა ანძები, იბმებოდა ქსელი, შენდებოდა ქვესადგურები, ელექტრომავლების დეპოები, იდგმებოდა მოტორ-გენერატორები, სწარმოებდა ამერიკიდან მიღებულ ელექტრომავლების მონტაჟი.

ახლა ყველაფერი მზად არის: საკონტაქტო ხაზზე გაშვებულია მაღა-



მონტაჟი სტალინისში. სიტყვას ამბობს ა.-კავკასიის რკინის გზების დირექტორი ამხ. პოზდეევი

ლი ძაბვის ელდენი; ელდენი მიაქროლებს ელექტრომავალს, ელექტრომავალი — პირველ სამგზავრო მატარებელს, მატარებელი — ათას მგზავრთან ერთად ელექტროფიკაციის დამკვრელ გმირებს.

ყოველ სადგურზე, ყოველ ბაქანზე კოლმეურნე, მშრომელი გლეხობა აღტაცებით და მხიარული ტაშით ხვდება ელექტრომავალს და ელექტროფიკაციის ენტუზიასტებს, რომლებიც გმირულად ეკვეთენ და აიღეს კიდეც ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-სიმაგრე.

გადალახულია არა მარტო გეოგრაფიული, არამედ სიძნელეების უმაღლესი უღელტეხილი. ამიერიდან იწყება შედარებით იოლი გზა — ა.-კ. მაგისტრალის დაბლობი უბნების ელექტროფიკაცია. მუშაობა ამ უბნებზე იქნება უფრო სწრაფი და ადვილი. ამის თავდებია უკვე გაწვრთნილი კადრები და მოპოვებული მდიდარი გამოცდილება.

**ვ. წულუკიძე**

1932 წ., 17 აგვისტო.



ელექტრომავალი

# კ ა მ ო *)

## კამო 1905 წ.

პარტიაში მომხდარი განხეთქილების დროს ამხ. კამო უყოყმანოდ მიემხრო ბოლშევიკებს და თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მტკიცე, გაკაჟებულ მებრძოლ ბოლშევიკად დარჩა.

დგება 1905 წელი. რევოლიუციური მოძრაობა ედება ხალხის ფართო მასებს, რომელნიც, ლენინის თქმით, ოქტომბრის გენერალურ რეპეტიციას გადიოდენ. ამხანაგი კამო აბობოქრებულ რევოლიუციონურ ზვირთებში თავს ისე გრძნობს, როგორც თავის საკუთარ, მშობლიურ სტიქიონში. ის ხელმძღვანელობს სტამბას ყ. ბებუთოვის ქუჩაზე ექ. გონიევის სახლში. ამავე დროს ასრულებს ჩვენი პარტიის მრავალგვარ სახიფათო დავალებებს.

1905 წ. როგორც ვიცით, მოხდა სომეხ-თათართა შეტაკებანი. ამიერ-კავკასიის სხვადასხვა) ქალაქებში — ხელისუფალთა ფარული წაქეზებით და დაუძლევხებლობით—მოწყობილ იქნა ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა. განსაკუთრებით ბევრი მსხვერპლი იყო ბაქოში. აქ შეტაკებათა ტალღა გადმოვარდა ტფილისშიაც. ტფილისის რევოლიუციურ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელსაც ძალიან დიდი გავლენა ქონდა ყველა ეროვნების ფართო მასებზე არ უნდოდა დაეშვა სისხლისღვრა. მაგრამ ორივე მტრულად განწყობილ მხარეს უნდა დაენახა შეიარაღებული ძალა, ურომლისოდაც ძნელი იყო მათზე გავლენის მოხდენა. და აი რევოლიუციური სოციალდემოკრატია ქმნის მოლაშქრეთა რაზმებს, რომელთაც მაშინ მილიციონერებს უწოდებდენ. მათ აკლდათ მხოლოდ იარაღი, განსაკუთრებით თოფები. ერთ მიტინგზე, რომელიც მოწვეული იყო თათარ-სომეხთა შეტაკებებთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიის მიერ, სრულიად. მოულოდნელად გამოცხადდა ტფილისის გუბერნატორი და ნამესტნიკ ვორონცოვ-დაშკოვის სახელით განაცხადა, რომ მთავრობა თანახმაა მისცეს იარაღი რევოლიუციურ პარტიას ნაციონალურ შეხლა-შემოხლის თავიდან ასაცილებლად იმ პირობით, რომ იარაღი გამოყენების შემდეგ დაბრუნებული იქნებაო. ამას მოყვა ნამესტნიკის სათანადო განკარგულება. ორგანიზაციას მიეცა სულ 500 თოფი. თვითმპყრობელობის ასეთი ნაბიჯი აშკარა პროვოკაციული მოტივებით იყო გამოწვეული.

ასე იყო თუ ისე, შეიარაღებულ მუშებს მიენდო ტფილისის მოსახლეობის დაცვა, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც საშიშროება იყო სომეხ-თათართა შეტაკების შესაძლებლობის მხრივ. პოლიციელები სრულიად გაქრენ ქუჩებში. ბევრგან უმოქმედოთ იდგენ ჯარებიც. ამნაირად, ფაქტიურად ქალაქის მთელი დაცვა მუშათა ორგანიზაციის ხელში გადავიდა.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც უნდა შესრულებულიყო შეთანხმება იარაღის დაბრუნების შესახებ. ბოლშევიკები წინაალმდეგნი იყვნენ იარაღის დაბრუნების და ებრძოდნენ მენშევიკებს, რომელნიც მოითხოვდენ მის დაბრუნებას მთავრობისათვის, ვინაიდან უკანასკნელს „პატიოსანი სიტყვა“ მივეცითო. მენშევიკების წყალობით მთავრობამ უკან მიიღო 350 თოფი; დანარჩენი დარჩა ბოლშევიკ რევოლიუციონურ მუშებს და ინახებოდა ამხ. კამოსთან კონსპირატიულ საწყობში.

ეს იარაღი მალე შეიქნა საჭირო. 1905 წ. 7 დეკემბერს მოსკოვში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც შემდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში გადავიდა. 12 დეკემბერს გაფიცვა გამოცხადდა მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და ქალაქებში. გზის დაცვა დაევალა შეიარაღებულ მილიციონერებს. ამაზე მთავრობამ უპასუხა სამხედრო წესების გამოცხადებით. მალე მთავრობის ჯარები შემოერტყენ ნაძალადევს. მოხდა მუშებთან შეტაკება, სადაც მოკლულ იქნა ცხრა საუკეთესო ამხანაგი და დაიჭრა მრავალი. მთელი რაიონი გახადგურებულ იქნა.

ჯარებთან შეტაკების ჟამს ამხ. კამო იმყოფებოდა სროლის მონაწილე ამხანაგებს შორის. ის იყო დაჭრილი და კაზაკებმა ნახეს გზაზე. მან იცოდა, რომ სიკვდილი არ აცდებოდა. მაგრამ არ დაიბნა, ითვალთმაქცა თითქოს ალალ-მართალი კაცი ყოფილიყოს, რომელიც სრულიად შემთხვევით მოექცა ამ კატავასიაში.

კამო მიიყვანეს ნაძალადევის ერთ-ერთ დაპყრობილ სახლში.

— ამბოხება გინდოდა? აბა ერთი ჩამოვკიდოთ.—თქვეს კაზაკებმა და დაიწყეს მზადება მის ჩამოსაღრჩობად. მიაბეს კამო ჭერის კაუჭზე.. კამო ჩამოეკიდა, დაიკრუნჩხა და სიკვდილის წინა წუთებს განიცდიდა.

— შეიძლება, არცაა დამნაშავე,—თქვა ერთმა კაზაკმა, რომელიც ეტყობოდა სხვებზე უფრო გულკეთილი იყო.

კამოს ჩამოხსნეს მარყუჟი. იგი ერთხანს გონდაკარგული ეგდო.

— როგორ არაა დამნაშავე? ის მათთან იყო და იქიდან გაიქცა. თითონ სთქვას. ეი, გესმის. თქვი, იყავი მათთან თუ არა?

— არაფერი არ ვიცი. მე—გლეხიკაცი ვარ, ბუნტი არ ვიცი!—უპასუხებს კამო.

— სულ ერთია, ძმაო სიკვდილი არ აგცდება. უკეთესია—სიმართლე თქვა.—არწმუნებს მას ერთი კაზაკი.

კამოს ათხრევინებენ საკუთარ საფლავს. კამო ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას როგორც ალალ-მართალ გლეხს არ ესმის, რა საქმით გაახედნიერეს და გულმოდგინეთ თხრის მიწას ბარით.

კაზაკები ისევ დაეჭვდენ. მერე ისევ ბოროტებამ მოუარა. მეორეთ ასწიეს ის ჩამოსახრჩობად, მაგრამ კამოს ახლა უკვე დასახრჩობის ერთგვარი გამოცდილება აქვს. მან იეშმაკა: ისე მოახერხა, რომ ბაწარი პირდაპირ ყელზე არ უჭერდა, რადგან მარყუჯში ნიკაპის გაყოფა მოასწრო. სიეშმაკის გარდა კამოს ბედი სწყალობდა. მარყუჯის მოდების დროსაც კი!—ბაწარი გაწყდა და ის გულწასული, დაბნეული ძირს მთელი თავის სიმძიმით დაასკდა იატაკს.

გათენდა კარგად. დამტვრეული, ნაცემი, ნაწვალები, გასისხლიანებული კამო ცოტა ხნის შემდეგ გადაიყვანეს მეტეხის ციხეში.

მისი მახლობლები და ამხანაგები დიდხანს დაეძებდეს მას; ვერასგზით ვერ მიაგნოთ მისი კვალისათვის. ამ მიზნით ამხ. ჯავაირას არა ერთხელ გაუვლია მეტეხის ციხის ახლოს და აი ერთ ბედნიერ დღეს ჯავაირამ გაიგონა ნაცნობი მთრთოლვარე ხმა, რომელიც გარკვევით მოიძახა:

— „ჩემი ველოსიპედი გადმოიტანეთ სარდაფიდან ოთახში“.

მაშასადამე, ცოცხალია. არა თუ ცოცხალია, კარგადაცაა დაჭრის და ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ.

რასაკვირველია, კამო ციხეში ყოფნისას იმაზე ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მალე დაძრომოდა ხელიდან ჯალათებს. დაკითხვისას ის არ ამხელდა თავის ნამდვილ ვინაობას და თავი მოქონდა დილომელ გლეხ შანშიაშვილად.

რატომ მაინცადამაინც შანშიაშვილად?

გვარის შეცვლა მოხდა შემდეგნაირად. ციხეში იმყოფებოდა ვინმე შანშიაშვილი, რომელიც სულ უბრალო საქმისათვის იყო დაჭერილი. კამომ მაშინ უკვე იცოდა ადამიანების ამორჩევა და თავისკენ მიზიდვა. როცა შენიშნა, რომ ახალგაზრდა შანშიაშვილმა იცის, მისი სახელი, პატივისცემით იხსენიებს მას და სულით და გულით ეხმარება რევოლიუციას, კამომ მასთან დაახლოებით შემდეგი საუბარი გამართა:

— აი რა გითხრა, ამხანაგო, შენ გინდა ცოტა ეწამო რევოლიუციისათვის?

— რევოლიუციისათვის? მინდა და მერე როგორ! მაგრამ როგორ შეიძლება რაღაც უბრალო საქმეზე ციხეში ჯდომით რევოლიუციისათვის ვეწამო? რევოლიუციონერობა ყველას უნდა, მაგრამ ყველას ეს არ შეუძლია.

კამომ მას ხელი მოჰკიდა.

— შენ არასოდეს არ გინახავს კამო?

— ვიახე ნაძალადევში. მხოლოდ შორიდან. ის მე ძალიან ახალგაზრდად მომეჩვენა.

— იცი რა გითხრა. კამო სულაც არ მოუკლავთ. ის ცოცხალია. ის ახლა ციხეშია, აი ამ კამერაში სდგას შენს წინაშე.

— შენ? შენ ხარ კამო? მე ეს ვიცოდი. თუმცა აქ ბევრს ლაპარაკობდენ, რომ შენ ვითომ მოგკლეს, მაგრამ მე არ მჯეროდა. როგორ შეიძლება კამოს მოკვლა?..

— მომისმინე. შენი გვარი?

— შანშიაშვილი.

— აი, თუ გინდა ნამდვილი რევოლიუციონერი იყო, შენ შეგიძლია ასეთად გახდე აქაც, ციხეში. შენ შეგიძლია მე მიხსნა. მე ჩამომაღრჩობენ, აუცილებლად ჩამომაღრჩობენ. ახლა მე მოვკალი კაზაკი, ხოლო წარსულში ბევრი რამ მბრალდება მე არ მაპატიებენ, გესმის? სულ უბრალო საქმეა. აქ ციხეში შევიცვლით ტანისამოსს ან მომცემ შენ პასპორტს. მე აქ სახით არავინ მიცნობს, შენ კი ჩემზე ცოტა ახალგაზრდა ხარ. შენ იქნები კამო, მე კი შანშიაშვილი. შენ ამ დღეებში გაგანთავისუფლებენ, მე შენს მაგივრად წავალ. შენ კი შემდეგ გააცხადებ, რომ შანშიაშვილი ხარ. შენ დაგსჯიან მარტო გაქცევაში დახმარებისათვის. ეს კი საშიშარი არაა.

ახალგაზრდა კაცი დათანხმდა. მალე შანშიაშვილი გამოიძახეს გამომძიებელთან. კამოს ალალ-მართალ კაცივით ეჭირა თავი; დაწვრილებით მოუთხრო გამომძიებელს, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში კაზაკებს. მორიგეობის შემდეგ რუხაძის აფთიაქში (ნაძალადევში), სადაც ვითომ მოწაფეობდა, ის მიდიოდა საცოლეს სანახავად და მოყვა ამ არეულობაში. როდესაც შეიქნა სროლა და უბედურება, ის სხვებთან ერთად გაიქცა. მაგრამ გაქცევის დროს თავი გაიტეხა წვეტიან ქვაზე, რითაც აიხსნება შეხვეული ჭრილობა.

— თქვენ იცნობთ კამოს?

— კამა როგორ არ ვიცი! როგორ არ ვიცნობდე კამას!

— სად გინახავთ თქვენ ის?

— ვის არ უნახავს კამა? ალბათ, თქვენც ხშირად გენახულებათ კამა. ეს საჭმელი მცენარეა, მწვანილია.

გამომძიებელს გული მოუვიდა ბრიყვ, გაუგებელ ტუსაღზე, მან აუხსნა, რომ ლაპარაკია არა მწვანილზე, არამედ ადამიანზე და ამასთან რევოლიუციონერზე.

რამდენიმე საათის შემდეგ კამო—შანშიაშვილი, როგორც შემთხვევით დაპატიმრებული გაიძახეს ციხის კანტორაში და გამოუცხადეს სასიხარულო ამბავი განთავისუფლების შესახებ. მეტეხის ფართო კარები გაიღო და ისევ დაიხურა...

## ექსისტური ჯგუფები-იარაღის ტრანსპორტი

1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა. ალიხანოვ-ავარსკის და სხვა „დამამშვიდებლების“ დამსჯელმა ექსპედიციებმა სისხლის ღვარი დააყენეს მთელ საქართველოში. რაიმე მასიურ მუშაობაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. რევოლიუციონერებს აღარ შეეძლოთ იმ ადგილებში დარჩენა, სადაც მათი მუშაობა ყველას თვალწინ იშ-

*) გაგრძელება. იხ. „დროშა“ № 11.

ლებოდა. მათ მოელოდათ მძიმე სასჯელი, ბევრ შემთხვევაში დალუპვაც კი. და აი რევოლიუციონერები ტოვებენ პროვინციებს და გადადიან ქალაქებში, უმთავრესად ტფილისში, სადაც შედარებით უფრო ადვილი იყო დამალვა.

პარტიას ფარულად, იატაკქვეშ უნდა შეენახა ძალიან ბევრი ამხანაგი, რომელთაც მოელოდა სიკვდილი ან უვადო კატორღა. ამისათვის საჭირო იყო საშუალება, თანხა. ზოგ ამხანაგებს ესაჭიროებოდათ არალეგალური ბინები, ზოგნიც უფრო საიმედო მიუწვდომელ ადგილებში უნდა გაგზავნილიყვნენ. იატაკქვეშეთის და რევოლიუციონური მუშაობის, ორგანიზაციის ხარჯები თანდათან იზრდებოდა. მიუხედავად საერთო განადგურებისა, შეურიგებელ რევოლიუციონერთა პარტიზანული ბრძოლა გრძელდებოდა. აი ამ ბრძოლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა სახაზინო თანხების ექსპროპრიაცია.

მენშევიკები ექსპროპრიაციას დაუშვებლად თვლიდენ. მათი ფიქრით, იგი გამხრწნელ გავლენას ახდენდა. მენშევიკები ბანდიტიზმად ნათლავდენ იმ თავდადებულ რევოლიუციონერთა გამოსვლებს, რომელნიც სიცოცხლეს არ ზოგავდენ პარტიისათვის საჭირო მატერიალური სახსრების საშოვნელად. ბოლშევიკები კი ამტკიცებენ, რომ ექსი, ე. ი. სახაზინო თანხების ექსპროპრიაცია, პარტიზანული ბრძოლის ყველა სხვა ფორმის მსგავსად, შლიდა მთავრობის მექანიზმს. საჭიროა მხოლოდ, რომ ექსი ხდებოდა პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით.

მართლაც, ბოლშევიკთა ექსისტური ჯგუფები, რომელთაც პარტია ხელმძღვანელობდა, ბოლომდე ერთგულად შერჩენ რევოლიუციას და დიდი სამსახურიც გაუწიეს მას და პარტიას. პარტიულ ხელმძღვანელობას მოკლებული მენშევიკური ჯგუფები კი ნამდვილ ბანდიტებად გადაიქცენ და მრავალი თავდადებული რევოლიუციონერი მუშა-მენშევიკებიდან უსახელოდ დაიღუპა. მათი მოქმედების შეუთანხმებლობის და და ეპიზოდიურობის მეოხებით.

ტფილისის მებრძოლი რაზმის შემადგენლობაში შედიოდენ შემდეგი ამხანაგნი: ელისო ლომინაძე, ვანო კალანდაძე, ბაჩუა კუპრაშვილი, დათიკო ჩიაბრიშვილი, ილიკო ჩაჩიაშვილი, აკაკი ფალაქიშვილი არკადი ელბაქიძე (რომელმაც შემდეგ 1920 წ. ტფილისში ჩვენი ორნიზაციის დავალებით დასჭრა დენიკინის წარმომადგენელი გენერალი ბარათოვი და რომელიც მოკლულ იქნა მენშევიკების მოსყიდული კაცის მიერ), კოტე ცინცაძე, თეოფილე კაკრიაშვილი კამო და სხვანი. კ. ცინცაძის დაჭერის შემდეგ ხელმძღვანელობა გადაეცა კამოს, რომელიც სწორედ იმ დროს მოვიდა საზღვარგარეთიდან, სადაც ის გაგზავნილი იყო იარაღის შესაძენად.

პირველი ექსპროპრიაცია, მოხდა ტფილისის ახლოს კოჯრის გზაზე. ამ ექსპროპრიაციის მომზადების და შესრულების დროს სავსებით გამოაშკარავდა ამხ. კამოს ორგანიზატორული ნიჭი. წაღებული იქნა შვიდი თუ რვა ათასი მანეთი. ამხანაგებმა ადვილად გაფანტეს ფოსტის მხლებელი ჩაფრები და თავდასხმის დროს არავინ არ დაშავებულა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ეგრედწოდებულ „სალდათის ბაზარში" შეპყრობილ იქნა ექსის ერთი მონაწილეთაგანი — კაკრიაშვილი, რომელიც იცნო ფოსტის მხლებელმა მცველმა. კაკრიაშვილი შემდეგ ჩამოაღრჩვეს.

1906 წ. თებერვალში ამხ. კამოს ხელმძღვანელობით მოხდა მეორე ექსი—ქუთაისში.

ამხ. კამო ჩამოვიდა ქუთაისში, რომ გამოერკვია ექსპროპრიაციისათვის ყოველგვარი საჭირო ცნობები და უმთავრესად ვაეგო, როდის აგზავნიდენ ფულს ქუთაისის ხაზინიდან ტფილისში. ამხ. კამომ გაიგო დაწვრილებით ყოველივე და ტფილისიდან ჩამოიწვია ამხ. ბაჩუა კუპრაშვილი, ელისო ლომინაძე, ილიკო ჩაჩიაშვილი, ვანო კალანდაძე. ექსისტებს შორის იყო ორი ქალი—ანეტა სულაქველიძე და საშა დარახველიძე. კონსპირატიულ სხდომაზე შემუშავდა თავდასხმის დაწვრილებითი გეგმა. ექსპროპრიაცია მოხდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ახლო, სადაც იყრება ოთხი ქუჩა. სულ წაღებულ იქნა თხუთმეტი ათასი მანეთი. მყისვე მთელი რაიონი კაზაკებით აივსო. დაიწყო საყოველთაო ჩხრეკა. აშკარა იყო რომ კაზაკები უეჭველად შემოერტყმოდენ იმ სახლსაც, სადაც წაღებული ფული იყო კონსპირატიულ ოთახში. ფულის სახლში დატოვება არ შეიძლებოდა. მაგრამ კიდევ უფრო სახიფათო იყო ქუჩაზე გამოსვლა. ბოლოს დიდი რყევის შემდეგ გადაწყდა ფულების გამოტანა. ამხანაგებმა—ანეტამ და საშამ—შიგნით მთელ სხეულზე გარშემო შემოიდვეს ასიგნაციები და სრულიად უდარდელი და მხიარული სახით გამოვიდნენ სახლიდან... ამხ. კამოს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა გაიგო, რომ ფული გადარჩენილია. ის ეხვეოდა ამხანაგებს და ამბობდა, რომ უკვე ფულებზე აღარ ფიქრობდა, არამედ აწუხებდა მხოლოდ, რომ მსხვერპლი არ ყოფილიყო.

ერთი თვის შემდეგ ფულები გაეგზავნა ბოლშევიკების ც. კ-ს.

ამხ. კამომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყუმბარების დამზადების საქმეს. აქამდი მას ყუმბარები ჩამოქონდა პეტერბურგიდან. მაგრამ მთავრობის გამძვინვარებული დევნის დროს ყუმბარების ჩამოტანა ადვილი საქმე არ იყო. და აი ამხანაგები კამოსთვის შოულობენ თ.-აზნაურთა წინამძღოლის თავადი კოკი დადიანის პასპორტს. ჩვენ კამოს ვხედავთ ახალ როლში. ის არისტოკრატია.. იცვამს შესანიშნავ ჩოხა-ახალუხს, მიდის პეტერბურგში და ასრულებს პარტიულ დავალებებს.

ამხ. კამომ ყუმბარების დასამზადებლად ლაბორატორია მოაწყო სოფ. აცქალაში, ტფილისის მახლობლად. ყუმბარებს ლაბორატორიაში ამზადებდა თვითონ კამო. მას ეხმარებოდენ ვანო კალანდაძე და ილიკო ჩაჩიაშვილი. ერთხელ მუშაობის დროს ლაბორატორიაში შემთხვევით აფეთქდა ყუმბარა, რამაც კამოს დაუშავა მაჯა და თვალი. ერთი თვის განმავლობაში ექიმობდა, მაგრამ თვალის შველა აღარ შეიძლებოდა—ჭრილობა სამუდამოთ დააჩნდა მას.. პირველ ხანებში კამოს სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ქონდა: ეს ხომ ნიშანი იყო, რომელიც გაუადვილებდა ჟანდარმებს მისი კვალის მონახვას და გააძნელებდა არალეგალურ მუშაობას. მაგრამ შემდეგში კამო თვითონვე ინუგეშებდა თავს და ჩვენც გვანუგეშებდა, რომ ის ამ სახითაც მოატყუებდა დამცველი განყოფილების აგენტებს.

1905 წ. გაერთიანებულ საგუბერნიო სოციალდემოკრატიულ კონფერენციაზე გადაწყდა ექსპროპრირებული და ზესტაფონის ხაზინიდან წაღებული ფულებით შეძენილი ყოფილიყო საზღვარგარეთ იარაღი. ამ საქმეში იქნა ჩაბმული ამხ. კამოც, რომელიც უმთავრესად ტფილისში მუშაობდა.

საზღვარგარეთ იარაღის შეძენის ოპერაციები მიენდო ამხ. ამხ. ს. ქავთარაძეს და ბ. მდივანს ამხ. ლიტვინოვის ხელმძღვანელობით. საზღვარგარეთ, იყიდეს სპეციალური გემი საზღვარგარეთული ბიუროს წევრი იყო. იარაღი უნდა შეძენილიყო ვითომ მაკედონიისათვის. ევროპის მაშინდელი გარემოება სავსებით ამართლებდა ამგვარ ხაზს. იარაღი ამხანაგებმა მართლაც შეიძინეს საზღვარგარეთ, იყიდეს სპეციალური გემი „ზარია", რომელსაც ტვირთი უნდა მიეღო ვარნაში (ბულგარეთი), აქედან იარაღი უნდა წამოეღოთ ბ. მდივანს, კამოს, კ. სულაქველიძეს და კ. ჩხენკელს.

როგორც იქნა გემი დატვირთეს თოფებით, რევოლვერებით, ყუმბარებით, დინამიტით; ამართეს ზედ ბულგარეთის ბაირაღი და დაიძრენ. „ზარიას" უფროსობდა ყოფილი პატიომკინელი კავტუშენკო.

კამომ თავის თავზე მიიღო გემის მზარეულის—კოკის მოვალეობა; მისი წინადადებით „ზარიას" სამანქანო განყოფილებაში დადგმულ იქნა ჯოჯხეთის მანქანა, თუ ვინიცობაა საჭირო შეიქნებოდა ტვირთის გადარჩენა თვითმპყრობელობის აგენტების და მებაჟეებისაგან.

„ზარიას" მგზავრობა მეტად უბედური გამოდგა. ვარნადან გამოსვლისთანავე ზღვაზე ამოვარდა უმძაფრესი შტორმი. გემს ნაფოტივით ისროდა აქეთ-იქით. ბოლოს გემმა ველარ გაუძლო ტალღათა ცემას და სა-

## სოციალისტური სოფლის მეურნეობის დამკვრელები



ამხ. შ. ელიავას სახელობის კოლმეურნეობამ (ს. ქვემო-შალა, კასპის რაიონი) საუკეთესოდ ჩაატარა გაზაფხულის თესვის კამპანია. საუკეთესო დამკვრელები დაჯილდოებულ იქნენ.

სურათზე: საუკეთესო დამკვრელები: მარცხნივ ამხ. **წყალობა პაპუაშვილი** მარჯვნივ—ამხ. **აბულაძე**

შიშველი ხმაურით წყალი შევარდა სამანქანო განყოფილებაში.

შტორმის დაწყებიდან მხოლოდ ოცი საათის შემდეგ მიეშველენ მეთევზეთა ნავები, რომელთაც გადმოიყვანეს გემიდან დაღუპვის პირამდე მისული ამხანაგები. მალე გემი გადაიხარა და წავიდა ძირს. ტვირთი დაიღუპა. ეკიპაჟმა თავი შეაფარა სულიმელ მეთევზეების ქოხში.

კამო როგორც კი გათბა და გამოერკვა, მაშინვე შეუდგა გეგმების შედგენას იმის შესახებ, თუ როგორ ხომალდს შეიძენდა ის მომავალში პოლიტიკურ კონტრაბანდისათვის, რათა პარტიას თავიდან აცილებოდა ამგვარი მარცხი.

## ექსპროპრიაცია ერევნის მოედანზე

ბოლშევიკური ჯგუფის ყველაზე ბრწყინვალე აქტი როგორც შესრულებით, ისე შედეგებით, იყო 250.000 მან. ექსპროპრიაცია ერევნის მოედანზე.

ამ საქმის სულის ჩამდგმელი იყო ამხ. კამო, რომელმაც დიდებულად მოაწყო და ჩაატარა იგი. მან საქმეში ჩაითრია ფოსტის მოხელე გიგო კასრაძე და მისი დახმარებით გაიგო, როდის და რამდენი ფული მოდიოდა პეტროგრადიდან სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების სახელზე.

სახელმწიფო ბანკის მოლარემ და მოანგარიშემ ხუთი კაზაკის და ორი დარაჯის თანხლებით ფოსტიდან მიიღეს ორასოთხმოცდაათი ათასი მანეთი და ორი ეტლით ბრუნდებოდენ ბანკში, როდესაც ერთმა მეეტლეთაგანმა გაიარა კომერციული ბანკი და როტინოვის და გავრილოვის მაღაზია, მარცხენა მხრიდან მოულოდნელად გადაისროლეს ყუმბარები პირველი მეეტლის წინ, რასაც მოყვა საშინელი აფეთქება. მთელი მოედანი კვამლში გაეხვია. ერთი წუთის შემდეგ როტინოვის მაღაზიასთან ორჯერ იფეთქა ყუმბარამ, შემდეგ კიდევ ორჯერ. შეიქნა აუწერელი ამბავი. ყველას შიშის ზარი დაეცა. საბედნიეროდ, ხალხი მოედანზე ცოტა იყო. როგორც გამოძიების დროს გამოირკვა, ჯერ კიდევ დილიდან ცილაც აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი აფრთხილებდა ყველას მოედანზე არ შეჯგუფებულიყვნენ. სულ მალე მოედანს მოაწყდენ ჯარები, მაგრამ ვეღარც ექსპროპრიატორები ნახეს და ვეღარც ფული. ასე ქონდათ წარმოდგენილი ამ დილის ამბების მსვლელობა გარეშე მაყურებლებს.

ფული მიქონდათ შემდეგი წესით: წინ მიდიოდა სამი ცხენოსანი კაზაკი; მათ მისდევდა ეტლი, რომელშიაც ხუთი ჯარისკაცი იჯდა, შემდეგ ეტლი ფულით სავსე ტომრებით, სადაც იყვნენ ერთი ფოსტის მოხელე და ერთი ყარაული; ბოლოს მიდიოდა მესამე ეტლი ისევ ხუთი ჯარისკაცით. მსვლელობა თავდებოდა სამი ცხენოსანი კაზაკით. თვითეული ეტლის გვერდით იქით-აქეთ მონავარდობდენ აგრეთვე კაზაკები. ისე იყო გამოანგარიშებული, რომ როდესაც წინ მომავალი კაზაკები შეუხვევდნენ სოლოლაკის ქუჩაზე, ფულიანი ეტლი დაახლოვებით კავკასიის ოლქის შტაბის შესავალთან უნდა ყოფილიყო. პუშკინის ბაღის ახლოს უნდა მდგარიყო ამხ. ფაცია გალდავა. მას უნდა ენიშნებია კაზაკების მოახლოვება ბაღში მყოფ ამხ. სტეპკო ინწკირველისათვის, რომელსაც წინად მიღებული ჭრილობის გამო არ შეეძლო უშუალოდ შეიარაღებული მონაწილეობა მიეღო საქმეში.

ამხ. ინწკირველს თავის მხრით უნდა ეცნობებია შტაბის შენობის წინ მოსიარულე ამხ. ანეტა სულაქველიძისათვის. უკანასკნელი შეატყობინებდა ამხანაგებს, რომელნიც მახლობელ რესტორან—„ტილიპუჭურში“ იმყოფებოდენ. ამის შემდეგ ამხ. ბაჩუა კუპრაშვილს გაშლილი გაზეთით ხელში უნდა შემოევლო მოედანი იმის ნიშნად, რომ ამხანაგებს დანიშნული პოსტები დაეკავებიათ.

დათიკო ჩიბრიშვილი, არკადი ელბაქიძე, ვანო შიმშანოვი, ვანო კალანდაძე, ილიკო ჩაჩიაშვილი და ილიკო ებრალიძე უნდა დაცემოდენ კაზაკებს და ფოსტას.

კაზაკების თვითეულ ჯგუფისათვის და ეტლისათვის თითო კაცი იყო დანიშნული. ერთს ფული უნდა წაეღო.

აკაკი დალაქიშვილი და თეოფილე კაკრიაშვილი უნდა დასხმოდენ თავს ქალაქის გამგეობის შენობის წინ მდგომ რაზმს.

ელისო ლომინაძე და სერაფიონ ლომიძე იდგნენ ველიამინოვის ქუჩის ახლოს, კაზაკთა სადარაჯოს პირდაპირ. თავდამსხმელები ამ მიმართულებით უნდა გაქცეულიყვნენ.

ამხ. კამოს ქონდა ნაკისრი ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანა—ფულის წაღება. ის აფიცრის ფორმაში იყო გამოწყობილი. აფეთქების დროს ის ეტლით უნდა მოვარდნილიყო განოვის ქუჩიდან.

ასე იყო როლები განაწილებული. ასე იყო შემუშავებული მოქმედების წესრიგი.

ამხანაგებმა დაიკავეს წინასწარ მიჩნეული პუნქტები გამოჩნდნენ კაზაკები. ყუმბარები უნდა გაესროლათ იმ ანგარიშით, რომ ისინი სხვადასხვა ადგილას ერთ და იმავე დროს უნდა აფეთქებულიყვნენ.

წინა კაზაკებმა შეუხვიეს სოლოლაკისაკენ.

დათიკო ჩიბრიშვილმა წინ წასდგა ნაბიჯი იგივე ჰქნეს დანარჩენებმაც. და მთელი არე-მარე საშინელი გრიალით შეინძრა. ილიკო ჩაჩიაშვილმა, ილიკო ებრალიძემ და ვანო კალანდაძემ შეუტიეს მოედანზე მდგარ პოლიციელებს და მაუზრების გაძლიერებული ცეცხლით გაფანტეს ისინი.

ყველაფერი კარგად მიდიოდა მაგრამ აქ მოხდა გეგმის პირველი შეშლა: ფულიანი ეტლი უვნებელი დარჩა.

დამფრთხალი ცხენები გაქანდენ მოედანზე სომხის ბაზრისაკენ.

ამხ. ბიჭუა კუპრაშვილი არ დაიბნა და დაეწია ეტლს მოედნის ბოლოში. მან ესროლა ყუმბარა ცხენებს ისეთ ახლო მანძილზე, რომ აფეთქებამ თვით ამხ. ბაჭუა ჰაერში ააგდო. ის დავარდა მიწაზე ნახევრად გონება დაკარგული.

ამხ. ჩიბრიშვილმა, რომელიც აგრეთვე მისდევდა ეტლს, მიასწრო იმ წუთს, როდესაც ეტლი სქელ კვამლში იყო გახვეული. წაავლო ხელი ფულიან ტომარას და გავარდა ველიამინოვის ქუჩაზე. აქ კამომ ჩამოართვა მას ტომარა და თვალის დახამხამებისთანავე მიიმალა.

საქმე გაკეთდა. ამხანაგები შეიკრიბენ მიხა ბოჭორიძის ბინაზე, აკლდათ ბაჭუა კუპრაშვილი.

ამხ. ჩიბრიშვილმა დაინახა აფეთქების შემდეგ როგორ დაეცა ბაჭუა. მისი აზრით ბაჭუა მკვდარი უნდა ყოფილიყო.

კამო საშინლად ღელავდა.

— რა ეშმაკად გინდოდა ფული—უკეთესი იყო ამხანაგისთვის გეშველა. როგორ დატოვე ის ასე დაუხმარებლად?—უსაყვედურებდა კამო ჩიბრიშვილს.

მაგრამ სწორედ ამ დროს გამოჩნდა კარებში მრავალნაირად დაკოდილი ბაჭუა. კამომ აღარ იცოდა რა ექნა მეტისმეტი სიხარულისაგან.

— ხომ ხედავ, ბიჭო, ჩვენ [illegible] ვერაფერს გვაკლებს. როგორც კატები, ყოველი სიმაღლიდან ვვარდებით და არ ვილუპებით.—ამბობდა ის გახარებული.

ასე დასრულდა ერევნის მოედნის ექსპროპრიაციის პირველი აქტი.

## შეპყრობა და შეშლილობის სიმულაცია

გატაცებული ფულიდან 100.000 მანეთზე მეტი 500 მანეთიანი ღირებულების საკრედიტო ბილეთი იყო. თვითმპყრობელობამ დეპეშით შეატყობინა მთელს რუსეთს და უცხოეთს საკრედიტო ბილეთების სერია და ნომერი. 1908 წ. იანვარში მიუნხენში შეიპყრეს ოლგა რავიჩი, რომელიც ცდილობდა დაეხურდავებია ერთი ასეთი საკრედიტო ბილეთი. ერთი კვირის შემდეგ მიუნხენშივე შეიპყრეს პარიზიდან ჩამოსული სტუდენტები—ბაგდასარიანი და ხოჯამირიანი, რომელთაც უნახეს 17 საკრედიტო ბილეთი. ამავე დროს დააპატიმრეს მეერ ვოლოხი, რომელსაც აღმოაჩნდა 12 ბილეთი. დაიწყო მათი საქმის გამოძიება, მაგრამ უცხოეთის მთავრობებმა პირველ ხანებში უარი თქვეს დამნაშავეთა თვითმპყრობელობისათვის გადაცემაზე.

კამო ჩავიდა ბერლინში დამზღვევი აგენტის დიმიტრი მირსკის პასპორტით. იქ ის მალე შეიპყრო გერმანიის პოლიციამ. თვით კამო თავის ჩავარდნას აწერდა პროვოკატორ ჟიტომირსკის, თუმცა ამაში არ იყო სავსებით დარწმუნებული.

დაპატიმრებისას კამოს აღმოაჩნდა ასაფეთქებელი ნივთიერებანი და საცნაური კონსტრუქციის მანქანა, რომელიც ჯოჯოხეთის მანქანათ იქნა აღიარებული. კამო მიცეს სამართალში როგორც ტერორისტ-ანარქისტი. მას ერთხელ უკვე გადაწყვეტილი ქონ და კატორღა, მეორეჯერ — სიკვდილით დასჯა; ხოლო ორჯერ გაქცეული იყო ციხიდან. დაიწყო მისი საქმის ფიცხელი გამოძიება.

როდესაც დაახლოვებით სამი კვირა დარჩა საქმის გარჩევამდე და სავსებით გამოირკვა რუსეთის თვითმპყრობელობისათვის მისი გადაცემის შესაძლებლობა, კამომ მიმართა უკიდურეს საშუალებას,—მან დაიწყო თავის მოგიჟიანება, შმაგი შეშლილობის სიმულიაცია...

თავისი ავადმყოფობის პირველ დღეს როდესაც დაიწყო ბორგვა, შმაგობა, ყვირილი, ტანისამოსის ხევა, საჭმლიანი ჭურჭლის მტვრევა და ზედამხედველების გალახვა, კამო გადაიყვანეს ცივ სასარდაფო კამერაში, სადაც ტემპერატურა ნულზე დაბლა იდგა.. აქ ის დააგდეს სრულიად გატიტვლებული ცხრა დღე და ღამის განმავლობაში. რომ არ გაცივებულიყო და ავად არ გამხდარიყო, ის იძულებული იყო თითქმის განუწყვეტლივ ერბინა და [illegible] ცხრა დღის შემდეგ უკანვე გადაიყვანეს. მალე მასთან დაუშვეს მისი დამცველი კონი, რომელსაც მან მეტად მოხერხებულად და შეუმჩნევლად აცნობა, რომ სრულიად ჯანსაღია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**ბ. ბიბინეიშვილი.**

# მთებს ეძახიან

შუბივით აწვდილი მთა ამაყად დასცქერის დაქანებულ თავისავე კალთებს, რომელზეც გაშენებულია მაღაროელთა სახლები.

უტეხი ნებისყოფის და ძალის მქონე ადამიანებს დაუპყრიათ და შეჭრილან იმის შავგულში. სჭრიან, ღადრავენ. გამოაქვთ გარეთ შავი პური და საჭმელად უგზავნიან გაუმაძღარ ღუმელებს.

იქ, სადაც ილევა ნაქერალას ქედის დაცემული კალთები, დუღს და გადმოდუღს ახალი ცხოვრება. ახალი ადამიანები სცემენ წერაქვებს და ვაგონებს ხრიალით გამოაქვთ შავი სოროებიდან ბუნების სიმდიდრე—ჩვენი ქვეყნის ოქრო. ეს ოქრო დღეს უფრო მეტი რაოდენობით შეიქნა საჭირო ჩვენი ქვეყნისთვის, ვინემ ამ რამოდენიმე წლის წინად. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თუ 1929 წლამდე ტყიბულს თავზე საყარად ჰქონდა ნახშირი. დღეს ჩამორჩენილთა რიგებს ეკუთვნის და მიცემულ გეგმებს ვერ ასრულებს.

ის უდიდესი გიგანტები, რომლებიც შეუჩერებლად შენდება ჩვენს ქვეყანაში მეტ მოთხოვნილებას აყენებენ მაღაროების წინაშეც.

—მოგვეცით მეტი ნახშირი!..—იძახიან ისინი.

ტყიბული კი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას.

რა არის მიზეზი?

განა ტყიბულს არა ჰყავს დამკვრელები?

მას ყავს დამკვრელები და სამაგალითო დამკვრელებიც, მაგრამ სხვა მიზეზები უშლიან ხელს.—მუშა ხელი არა ყავს საკმაო რაოდენობით. მუშა-ხელის მხრივ ტყიბული მხოლოდ სანახევროდ არის დაკმაყოფილებული.

დამკვრელ მუშებს ნორმაზე ზევით გამოაქვთ ნახშირი. მიცემულ დავალებას 150 პროცენტით ასრულებენ, მაგრამ ხარვეზები მაინც რჩება ამოუვსებელი.

⁂

სწორედ იმ დროს შევდგით ფეხი მაღაროების ტერიტორიაზე, როდესაც დილის საყვირმა მეორედ დაიღმუილა და ნიშანი მისცა მაღაროებს.

ჩვენს წინ ირეოდა ყველაფერი. მურში გასვრილ ტანსაცმელიანი მუშები მიიჩქაროდენ სამუშაოზე. ზოგიც ეხლა დგებოდა, საჩქაროდ იცვამდა ტანსაცმელს. გარედ გამოსული სწრაფად შეიშხაპუნებდა პირზე ცივ წყალს და მიყვებოდა ბილიკს.

მთის წვერზე არეკილიყო დილის ნისლი და ბამბის ქულებსავით თეთრად ირეოდა. ცოცხალი ღელე ციგლიგით მოხტუნავდა დალოდნილ კალაპოტში და აქაფებული გადმოდიოდა გორიდან-გორზე.

უეცრად თვალი მოვკარი ზორბა ტანის კაცს, რომელმაც აუჩქარებლად გადმოალაჯა ტყეზე მომავალი ბილიკიდან რკინის გზაზე და გაყვა მას.

თავზე შავი „კეპკა“ ეხურა და ხელში „ოლფა“ ეჭირა.

მტკიცე ნაბიჯებით მიდიოდა ჩვენ წინ ეს კაცი და თავჩაღუნული, რაღაც ფიქრებს მისცემოდა. მისი მოხრილი, მაგრამ ფართე ბეჭები აშკარად ამტკიცებდა მის ძალღონეს, ფეხებს ისე მაგრად ადგამდა მიწას, რომ ნახშირის შლამს ჭახ-ჭახი გაუდიოდა.

მივედით გვირაბის შესავალთან.

შიგ ბნელოდა. შორს კი მოსჩანდენ ბრჭყვიალა ელნათურები და აქა-იქ კიაფობდენ ციმციმა „ოლფები“.

უცნობმა, მივიდა თუ არა, ყველას თვალი შეავლო. შემდეგ „ოლფა“ ერთჯერ კიდევ შეატრიალა ხელში და ბოხი დარეკილი ხმით შესძახა.

— გამარჯვებათ!

— ისიდორეს გაუმარჯოს!..—იყო საერთო პასუხი.

ჩემს ამხანაგს გვერდში ხელი ვკარი. თვალით ისიდორესაკენ ვანიშნე.

— ხედავ, აი ეს ყოფილა ის ისიდორე, რომელზეც ჩვენ ამოდენი გადმოგვცეს, გვითხრეს.

მართლაც ეს იყო **ისიდორე ხვადაგიანი**, რომელიც 44 წლის განმავლობაში შეუდრეკელად სცემს წერაქვს დალარულ მთის ქანებს.

— 44 წელი!

არც ისე პატარა დროა და მით უმეტეს გვირაბში. უცქერ ამ კაცს მთასავით რომ დგას ჩვენს წინ და თან მიხარია, რომ ჩვენ ქვეყანას ყავს ისეთი ხალხი, რომლებიც მიუხედავად, რამოდენიმე ათეული წლის ბრძოლებისა თავს მაინც მოღლილად არ გრძნობენ და იბრძვიან გეგმების შესრულებისათვის.

— აბა. ბიჭებო! დრო არის, წავიდეთ, მოვემზადოთ!—უთხრა მან ამხანაგებს და ერთხელ კიდევ შებრუნდა. ამაყი მზერა ახლად ამოწვერილ მზეს ესროლა და მტკიცე ნაბიჯით გასწია წინ.

⁂

მთებს ეძახიან ქარხნების ღუმელები. ეძახიან კასპიდან, ნოვოროსიისკიდან. ბათომიდან, თბილისიდან. ეს ძახილი ლომის ღმუილივით მოდის ყოველი მხრიდან. ეხეთქება მაღლა აშვერილ მთებს და ტყიან დაბლობს ეფინება.

ივლისის თვეს ბევრი აღარა აკლია რა. უკანასკნელმა დღეებმა უნდა გადასწყვიტოს მაღაროების ბედი. ან წითელ და ან შავ დაფაზე. ან მოწინავეთა რიგებში, ან ჩამორჩენილებთან, შავი დაფის კანდიდატებთან. თვითეული მუშის გულს მარწუხივით უჭერს ფიქრი ჩამორჩენაზე.

დავალება—26.233 ტონაა.

ეს დავალება მოითხოვს ბრძოლის მეტად გაძლიერებას. კუნთების მეტად დაჭიმვას და წერაქვის დარტყმას.

სცემენ მუშები.

ვაგონები მეტი სისწრაფით გამორბიან რელსებზე და გამოაქვთ ნახშირი.

მოვდივართ, მოგვაქვს ნახშირი.
ნახშირი მაღალ მთისაო,
ფოლადის მაჯით ნალები
პური ღუმელებისაო.

გაისმა ჩვენს იქეთ და თიხნარის გვირაბიდან მომავალ რელსებზე დაქანებულმა ვაგონმა გვერდით ჩაგვიქროლა ტყვიაზე უმალ.

ახალგაზრდა ჭაბუკს მაგრად ეჭირა ხელში მუხრუჭი და თან ხალისიანად მღეროდა.

მეორე მხარეს ეცა და ცოტა ხნის შემდეგ დაიკარგა მთლიანად.

მოქრიან ვაგონები ზევიდან. მაღალი წიფელების გვერდით ამაყად ჩაიქროლებენ და მთელი სისწრაფით მოფრინავენ სარჩევისაკენ.

აი სარჩევიც.

ვაგონმა სვლას უკლო. მორცხვი ცეკვით შეგორდა საბრუნში. წამი და თვალის დახამხამებაზე უსწრაფესად გადმოყირავდა. ნახშირი ჩაიყარა ქვევით საცერში. დაცლილი ვაგონი კი ისევ სწრაფად ამოვარდა ზევით. გამგორმა ხელი კრა მას. ახალ ხაზზე გადაიყვანა.

სარჩევში გრძელი ლენტი ზანტად მოძრაობს. მომცინარე ქალების წინ ხელი გაივლის. მას საკუთარი ზურგით მოაქვს საცერის მიერ დახარისხებული შავი ნაჭრები. ქალები დასცქერიან. შეამჩნევენ თუ არა ქვას უცბად დასტაცებენ ხელს და იქვე უვარგის მასალის ყუთებში გადაისვრიან.

⁂

სასულეები აერთებენ გვირაბებს ერთი-მეორესთან. ვიწრო და თავქვე დაქანებული ხვრელები მუდამ შავი [illegible]რით გამოიყურებიან.

დაცემულ სასულეებში ნახშირია. გასვრილი და დასილული კიბეები დაკიდებულან. თავზე მდებარე—მეორე გვირაბში ამსვლელი ამ კიბეებს უნდა აყვეს და რამოდენიმე ათეული საჟენის გავლის შემდეგ თუ მიაღწევს დანიშნულ ადგილს. ეს სასულეები უმთავრესად იმიტომაა გაკეთებული, რომ გვირაბებში თავისუფლად მოძრაობდეს ჰაერი და შიგ მომუშავეები არ დაიხუთონ.

დაკიდებული კიბეების გვერდს ჩამოყვება გრძელი კოდები, რომლებშიც მუდამ შეუწყვეტლად ხრიალებს ნახშირი და თავპირის მტვრევით მოექანება ქვევით. ასეთი კოდების საშუალებით, მეოთხე ყველაზე ზევით მდგომი გვირაბიდან მოჭრილი ნახშირი მესამე გვირაბში ჩამოდის მესამედან მეორეში და მეორედანაც პირველში ანუ კაპიტალურ გვირაბში. აქედან კი პირდაპირ გარედ მოექანება და მირბის პირ-სავსე ვაგონებისაკენ.

ავყევით კიბეებს.

ჩემს წინ ინჟინერი პავლე საყვარელიძე მიდის. ჩექმებს მოხერხებულად ადგამს კიბის საფეხურზე და სახელურს მაგრად ეპოტინება. მე კი ჯერ ვერ შევეჩვიე აქ სიარულს. ფეხები ძლიერ ხშირად მისხლტება და რომ მაგარი სახელურები არ მიჭერდეს ვინ იცის ამოდენ ხანს რამდენჯერ ჩავგორდებოდი ქვევით.

როგორც იქნა ავედით მეორე ჰორიზონტზე. ცოტა შევისვენეთ. პავლე და ინჟინერი მინდელი ნახშირზე გვესაუბრებიან, რომ ამ დროს უცბად ამ სასულეში თავი ამოყო რაღაც მრგვალმა ხემ. მალე გამოჩნდა მუშაც. ის მთელი ტანით ამოიმართა. და ახლად მოტანილი ბიჯგი ჩვენს გვერდზე დააყუდა. „აი, კაციც ეგ მითხარით!. ჩვენ ცალიერი ვიყავით და ამოსვლა მაინც გვიჭირდა, ამას კი ერთი დიდი ხეც წამოუკიდია ზურგზე და ჩვენზე უფრო თავისუფლად ამოდის“,—ვფიქრობ მე.

გავიარეთ კიდევ რამოდენიმე ასეთი „ჯოჯოხეთური“ გზა და სადღაც შებუდრულ ადგილში შევედით.

აბა, მუშაობაც აქ მითხარით.—მიწის წიაღში, რამოდენიმე კილომეტრით რომ ხარ მოწყვეტილი დედამიწის ზედაპირს.

— ფრთხილად! გაზიან ადგილებში შევედით. დაკვირვებით იარეთ. „ოლფა“ მაგრად დაიჭირეთ ხელში, არ გააქანოთ.—გვაფრთხილებს პავლე.

მივედით გვირაბის ძირამდე.

ვატყობ სინათლემ იკლო. ჩემი „ოლფიდან“ ვათვალიერებ სხვებისას. ისინიც ასეთივე მდგომარეობაში არიან.

— აი, ამ ადგილას ყველაზე მეტი გაზი არის დაგროვილი. წყნარად აიღეთ „ოლფები“ გასინჯეთ როგორ დაიკლო სინათლემ!

ჩემი „ოლფა“ ზევით ავსწიე. უკვირდები.

აქამდე წითლად მოპრიალე ალი ეხლა მთლად გალურჯდა და საგრძნობლად დაიწია.

ამ ადგილებში ეხლა მუშაობა არ სწარმოებდა ვინაიდან იგი სახიფათო ადგილს წარმოადგენდა.

ვბრუნდებით უკან.

პავლე გვიამბობს თუ რამ გამოიწვია გაზების გაჩენა მაღაროებში.

—ეხლა ჩვენი სამუშაოები გამოტაცებითი ხასიათის სამუშაოებია. აქ გამოსწრებაზეა საქმე ან შენ უნდა მოასწრო ცეცხლს და გამოსტაცო ნახშირი ანდა იგი დაისაკუთრებს მას, დასწვავს, გაანიავებს. ხშირად ჩვენ ველარ ვასწრებთ გამოტანას და იწვება. ეს გზები უმთავრესად წარმოშობილი არიან სიმხურვალის გამო. აქ

აფეთქება 1926 წელში მოხდა და მას შემდეგ განუწყვეტლივ სწვავს ნახშირის სტიქია. აფეთქება კი მავნებლებმა მოაწყვეს მთავარი ინჟინერის ე—ის ხელმძღვანელობით. რამოდენიმე ხნის განმავლობაში დასტოვეს მოჭრილი ნახშირი გვირაბში, რის გამოც იგი შეხურდა და ბოლოს აფეთქდა კიდეც. ეს მდგომარეობა წინასწარ შეამჩნიეს მუშებმა. უთხრეს ინჟინერს და სხვა ხელმძღვანელებს, მაგრამ მაშინ ამ საქმეს არავინ არ მიაქცია სათანადო ყურადღება და აი, ხომ ხედავთ რამდენი ზარალი მოგვცა ამან.

გამოვედით გვირაბიდან.

მოსაღამოვებულიყო.

მზე დასავლეთ აყრილი ჭიულების თეთრ ქათიბში გახვეულიყო და თავისი სხივები ერთხელ კიდევ მიეშვა მოლაღანე მთის მკერდზე.

ულელტეხილიდან წყნარად გადმოხტა საღამოს გრილი სიო და ტყეებიან მიდამოებში გაინავარდა. წამით აქოჩრა შეფენილი ტყიანი კორდები. ისევ მიწყნარდა.

☙

მეორე დღეს დილით დახავლეთ უბანში ვართ.

მოვნახეთ გრიგოლ კახიძე—ამ უბნის დირექტორი და უფროსი ათისთავი ბიქტორ დოლუნდარიძე.

— ჩამოვრჩით ძმაო, ჩამოვრჩით, მაგრამ.. აღარ დაამთავრა გრიგოლმა.

შევატყვე უნდოდა ეთქვა: „..მაგრამ ვნახოთ, ჩვენ ისევ გავიმარჯვებთ“-ო

ბიქტორმა ამ სიტყვებზე თავი მაღლა ასწია და თითქოს სადარაჯოზე ეძახიანო ისე დადგა.

— ჰაი დედასა. მუშა-ხელი მოგვცა და მაშინ ჩვენ ვიცით.

გულით ლაპარაკობს ბიქტორი. ის ხომ იბრძვის შეუდარებლად. მაშ რად უნდა ატარებდეს ჩამორჩენილი მაღაროელის სახელწოდებას. ეს აწუხებს მას ადგილობრივი კოლმეურნეობები კი ვერ იძლევიან მუშა-ხელს დასახმარებლად.

ჩვენ დილით ადრე მოვედით აქ, იმ დროს, როდესაც მუშაობა ჯერ არც კი იყო დაწყებული. მუშები ეხლა გროვდებოდენ და ეწერებოდენ.

გვირაბები ეხლა სდუმდენ, უტყვად გადაქცეულიყვნენ..

მაგრამ,

აი საყვირიც და...

ლაქით დადუმებულ მაღაროებში შეიჭრა სიცოცხლე.

ნახშირით გამურულ კოდებში განუწყვეტლივ ილეწება დატვირთული ვაგონები და ბრუნდება ისევ უკან, რომ ხელახლა ჩამოიტვირთოს შავი ზოდები.

სადღაც, მთის გულში ისმის წერაქვების მიწნეული ცემა. ლალუმების გრიალი. ათისთავები დაძვრებიან ციმციმა „ოლფებით“. ათვალიერებენ ნამუშევარს და ბრუნდებიან უკან.

..ასეთი ენტუზიაზმით ილევა ივლისის თვე. მაღაროელები იბრძვიან გარღვევის ლიკვიდაციისათვის.

მაგრამ..

აჰა, თვის უკანასკნელი ორი დღეც და გეგმის შესრულებას 25 პროცენტი დააკლდა.

ეჰ, რა მოწყენილობა და დაღრეჯილობა დაიხატა მათ სახეზე.

აგერ მოდიან დამკვრელები.

მათი სახეები დაღვრემილან, მაგრამ ამასთან ერთად მათ გულში კიდევ მეტი რწმენა და სიმტკიცეა დაბუდებული.

დამთავრდა ივლისის თვე.

გამოღებულია 20.620 ტონა ქვანახშირი გეგმის 78 პროცენტი.

მაღაროებმა ფეხი გადასდგეს ახალ თვეში. აგვისტოს დავალება 25.000 ტონას შეადგენს.

მუშები კიდევ მეტის ენერგიით შეუდგენ ბრძოლას ახალი გეგმისათვის.

ცეცხლგამძლე მაჯები ანგრევენ კრისტალებს.

ნელა მოცოცავენ დაღმართზე მავთულით დაბმული ვაგონები და უხვი ბარაქით მიეშურებიან ქვევით, პატარა ხევის ნაპირზე, სადაც ჯერ კიდევ მაგრად დგას რამოდენიმე წლის წინად აგებული სატვირთავი. იგი თავისი მურიანი და ამაყი სახით დასჩერებია მის გვერდზე გაშენებულ მომცრო სახლებს.

დაკლაკნილ კლდეებში ხვნეშით ამოდის მატარებელი და მოაქვს დაცლილი ვაგონები, რომლებიც რამოდენიმე საათის განმავლობაში ისევ იტვირთებიან და დამუხრუჭებული, სრიალით ჩამორბიან მახლობელ სადგურამდე.

☙

„ქვანახშირის დარგში განზრახული გვაქვს მივიღოთ 250 მილიონი ტონა მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელიწადში. ეს ნიშნავს იმას, რომ ბევრით დავიჭერთ ინგლისის გვერდით, რომელმაც 1929 წელს ამოიღო 260 მილიონი ტონა ქვანახშირი და წინ გაუსწრებთ ევროპის ყველა დანარჩენ ქვეყნებს: გერმანიას საფრანგეთსა და სხვებს“.

კუიბიშევი

ეს მეორე ხუთწლედის გეგმაა ნახშირის დარგში.

ჩვენ უკვე ვამთავრებთ პირველ ხუთწლედს და უდიდესი მიღწევებით ვხვდებით მეორე ხუთწლიან გეგმას. ყველა ფაბრიკა-ქარხნები ასე შეხვდებიან სოციალიზმის ხუთწლედს და თქვენ ტყიბულის მუშებო?!!.

ჯერ კიდევ არის დრო.

გეგმა უნდა შესრულდის.

ხომ გესმით, ფაბრიკა-ქარხნები მთებს ეძახიან:

— მეტი ნახშირი გვინდა!

მაღაროელებო!

გადაღარეთ პიტალო მთების გულმკერდი!.

გესმით!...

მეორე ხუთწლედის ბოლოს 250 მილიონი ტონა ნახშირი...

გ. მედგარიძე.



საბჭოთა კავშირში იზრდება ინდუსტრიის გიგანტები

# ბრძოლა სტრატოსფეროს დასაპყრობად

## პროფ. პიკარის მეორე გაფრენა სტრატოსფეროში

„იზვესტია“-ში მოთავსებულია შემდეგი დაწვრილებითი ცნობები პროფ. **პიკარის** მეორე გაფრენის შესახებ სტრატოსფეროში.

პროფ. პიკართან ერთად გაფრინდა ფიზიკოსი **კოზინსი**, მისი შარშანდელი თანამგზავრი ინჟ. **კიპფერი** ამ გაფრენაში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ მთელი მზა-



პროფ. პიკარი

დება გაფრენისათვის სწარმოებდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

პიკარის აეროსტატი აფრინდა დიუფენდორფიდან (ციურიხის ახლო) 18 აგვისტოს 5 საათზე და 05 წ. თავდაპირველად აეროსტატი ძლიერ ნელა იწევდა მაღლა. 5 ს. 43 წ. ის იმყოფებოდა 1600 მეტრის სიმაღლეზე. მაგრამ ერთ მეოთხ. საათზე უფრო ნაკლები დროს განმავლობაში აეროსტატმა გააკეთა უზარმაზარი „ნახტომი“ და 5 ს. და 57 წუთზე 8.500 მეტრის სიმაღლეზე იყო. 8 ს. 30. აეროსტატი იმყოფებოდა 14.000 მეტრის სიმაღლეზე. 9 ს. 08 წ. —15000 მეტრზე, 11 ს 31 წუთზე პიკარისაგან მიღებული იქნა შემდეგი შინაარსის რადიოგრამა:

**„გადავფრინდით ენგადინზე, სამადენიდან აღმოსავლეთით. სიმაღლე 16.500 მეტრი, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ძლიერ ცივა“.**

9 საათამდე აეროპლანი მიფრინავდა აღმოსავლეთით. ამის შემდეგ ის გაექანა სამხრეთისაკენ და პიკარს დიებადა შიში, რომ აეროსტატი ადრიატიკის ზღვაში მოხვდებოდა. 11 ს. 43 წუთზე მან შემდეგი რადიოგრამა გაგზავნა:

**„ჩქარა დავეშვებით დაბლა, რომ არ მოვხვდეთ ადრიატიკის ზღვაში“.**

პიკარის მოსაზრება გამართლდა. ატმოსფერის ქვედაფენებში აღმოჩნდა სხვა საჰაერო დინება და აეროსტატი გაფრინდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. 16 საათზე იგი იმყოფებოდა 3000 მეტრის სიმაღლეზე დესანცანოს რაიონში (იტალია). 17 საათისათვის ის დაეშვა 1400 მეტრამდე და 17 ს. და 10 წუთზე დაეშვა ვერონასა და მანტუას შუა სოფ. კავალერო დემონსამბანოს ახლო.

დაშვებას ხელს უწყობდნენ ადგილობრივი გლეხები შვეიცარიელი ინჟენერის **ცვეიფელის** ხელმძღვანელობით, რომელიც შემთხვევით ამ რაიონში მოგზაურობდა ავტომობილით. პიკარის მიერ გადმოგდებულ თოკების ბოლოები ერთბაშად დაიჭირეს გლეხებმა, რომლებიც ფრთხილად ეწეწებოდნენ აეროსტატს. მაგრამ უეცრად ქარმა გონდოლა დაახალა მიწაზე და შემდეგ აეროსტატი ისევ აიტაცა ჰაერში. მხოლოდ მეორეთ დაშვების დროს მოხერხდა თოკების დამაგრება ხეზე და გაზის გამოშვება ბალონიდან.

პიკარი და კოზინსი პირველყოვლისა ჩრდილისაკენ გაეშურენ და მოითხოვეს წყალი, ვინაიდან ატმოსფერის ცივი ზედაფენებიდან იტალიის ზაფხულის სიცხეში მოხვედრამ მფრინავებს გრძნობა დააკარგვინა.

პიკარის სიტყვით, მაქსიმალური სიმაღლე გაფრენის დროს უდრიდა 16.770 მეტრს. ...ლორი ცნობები გამოქვეყნებული იქნება ...ხელსაწყოების ჩანაწერების განხილვის ...ლდეგ. ტემპერატურა გონდოლაში იყო 6 გრადუსი ნულს ქვევით იმ დროს, როცა პიკარის პირველი გაფრენის დროს იგი აღწევდა 40 გრადუსს ნულს ქვევით. აეროსტატის დაშვების დროს მრავალი აპარატი გატყდა. მაგრამ პიკარმა გაითვალისწინა ეს შესაძლებლობა და წინასწარ მიიღო ზომები ჩანაწერების გადასარჩენად.

გაფრენის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ე.-წ. კოსმიური სხივების გამკვეთი ძალის გაზომვა. ეს სხივები ჩვეულებრივ ატანებენ 30 სანტიმ. სისქე ტყვიის დაფაში. თუ პიკარის ჩანაწერებიდან გამოირკვა, რომ დიდ სიმაღლეზე ამ სხივების გამკვეთი ძალა მატულობს, ეს იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ჩვენს მიერ შემჩნეულია არა მარტო დედამიწის კოსმიური სხივები, არამედ ის სხივებიც, რომლებიც დედამიწამდე აღწევენ სამყაროს სივრციდან.

შემდეგი გაფრენის მოწყობას პიკარი აპირებს გუძონის ყურედან იმ იმედით, რომ მაგნიტურ პოლიუსის სიახლოვე საშუალებას მისცემს მას უფრო დაწვრილებით და ზუსტად შეისწავლოს კოსმიური სხივების ბუნება.

დეზენცანოდან მიღებული ცნობებით, პროფ. **პიკარმა** შემდეგი განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

„ჩვენ მოვახერხეთ ყველა იმ გაზომვათა და დაკვირვებათა ჩატარება, რომლებიც განზრახული გვქონდა და საჭირო იყო კოსმიური სხივების შესახებ მეცნიერული დასკვნების გასაკეთებლად. ამ გაზომვებმა და გამოკვლევებმა დაადასტურეს ჩემი აზრი, რომ დიდ სიმაღლეზე კოსმიური სხივების ინტენსივობა მატულობს.

განსხვავებით შარშანდელი გაფრენისაგან, როცა ჩვენ ძლიერ სწრაფად ავფრინდით ზევით, ახლა ჩვენი მაღლა აფრენა მიმდინარეობდა ნელა და გეგმაშეწონილად, ვინაიდან ჩვენ გვქონდა სისწრაფის სურვილისამებრ მოწესრიგების შესაძლებლობა და მაშასადამე შეგვეძლო გავჩერებულიყავით გარკვეულ სიმაღლეზე იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭირო იყო გაზომვისათვის. მე უმთავრესად ვხელმძღვანელობდი ფრენის პრობლემებს იმ დროს, როცა კოზინსი განუწყვეტლივ აწარმოებდა გაზომვას. ალტიმეტრისათვის (სიმაღლის საზომი) ერთი წუთითაც კი არ შეიძლებოდა თვალის მოშორება. ვინაიდან ცა მოწმენდილი იყო, გზას მშვენივრად ვიკვლევდით, რადგან მივფრინავდით შვეიცარიაზე, მთებზე რომლებიც მე არა ერთხელ მომივლია. უდიდეს სიმაღლეზეც კი არ დამიკარგავს მიმართულება. განსაკუთრებული სამსახური გამიწიეს მტრებმა. ასე, მაგალითად, გარდის ტბის ცნობილმა ფორმამ იმ წამსვე გვიჩვენა ჩვენ, რომ ენგადინიდან იტალიისაკენ მივფრინავდით. ისე როგორც მთებში ასვლის დროს, აქაც სიამოვნება უფრო მეტია, როცა იცნობ ადგილს, რომელზედაც მიფრინავ. მთელი გზის განმავლობაში ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცოდით, თუ სად ვიმყოფებოდით. ამიტომ ახლანდელმა გაფრენამ მე უფრო მეტი სიამოვნება მაგრძნობინა, ვიდრე შარშანდელმა“.



პროფ. პიკარის აეროსტატის გონდოლა

## აეროსტატის ნაცვლად—სტრატოპლანი

პიკარის შემდეგ სტრატოსფერაში გაფრენისათვის ემზადება ცნობილი ინგლისელი ავიატორი - კონსტრუქტორი და საავიაციო ქარხნის პატრონი **ოსვალდ შორტი**. მის ქარხანაში (როჩესტერში) მთავრდება დამზადება ბალონისა და ჰერმეტიულად დასახურავი გონდოლის, რომლებიც უმნიშვნელოდ განსხვავდებიან პიკარის ბალონისა და გონდოლისაგან. გაფრენა განზრახულია უახლოეს დროში, შორტს მიზნად აქვს 18—20 კილომეტრის (18—20.000 მეტრის სიმაღლის მიღწევა. გაფრენის მთავარი მიზანია მეტეოროლოგიური დაკვირვებები და გაზომვები, რომლებიც საჭიროა სტრატოსფერაში ფრენის პრობლემის გადასაჭრელად.

ამავე დროს მზადდება რამდენიმე გაფრენა სტრატოსფერაში აეროპლანებით. საფრანგეთში უკვე აგებულია ორი სტრატოპლანი, ერთიც აგებულია გერმანიაში და ერთი შენდება იტალიაში.

საფრანგეთის სტრატოპლანებიდან ერთი აგებულია ანრი ფარმანის ქარხანაში ავიაციის სამინისტროს დაკვეთით, მეორე კი აგებულია პარიზელ ინჟენერ **გერბეს** მიერ. ფარმანის სტრატოპლანი იმ ანგარიშით არის აგებული, რომ აფრინდეს 20.000 მეტრის სიმაღლეზე, სადაც იგი შესძლებს საათში 1000 კილომეტრი სისწრაფის განვითარებას, გერბეს სტრატოპლანი გათვალისწინებულია 12—15.000 კილომეტრის სიმაღლისათვის, საშუალო სისწრაფე კი—800 კილომეტრი უნდა დარჩეს.

ფარმანმა და გერბემ სხვადასხვანაირად გადასჭრეს სტრატოპლანის კონსტრუქციის ძირითადი პრობლემები, ე. ი. მოტორის, კომპრესორების და პროპელერის საკითხი. ვინაიდან ფარმანის სტარტოპლანი უფრო მეტი სიმაღლისათვის არის დანიშნული, ვიდრე გერბეს სტრატოპლანი, ამიტომ მასზე დადგმულია შედარებით სუსტი მოტორი—300 ცხ. ძალიანი, რადგან 18—20.000 მეტ-

# ნ ა რ ე ვ ი



პროფ. პიკარის აეროსტატი, რომლითაც ის პირველად გაფრინდა სტრატოსფეროში

რის სიმაღლეზე ჰაერი თხელია და მისი წინააღმდეგობა გაცილებით ნაკლებია. გერ-ბეს სტრატოპლანზე კი დადგმულია 700 ცხ. ძალიანი მოტორი, რაც შეეხება კომპ-რესორებს, ისინი აუცილებელია მოტორის მიერ შეწოვილ ჰაერის გასასუქებლად. რამ-დენადაც უფრო თხელია ატმოსფეროს ესა თუ ის ფენა, იმდენად უფრო მძლავრი უნ-და იყოს კომპრესორები, ამიტომ ფარმანმა თავის სტრატოპლანზე დასდგა სამი კომპ-რესორი, რომლებიც თანდათანობით იწყე-ბენ მუშაობას: პირველი—6.000 მეტრის სი-მაღლეზე, მაგრამ მისი ბრუნვის სისწრაფე მატულობს სიმაღლის პარალელურად.

იმ გარემოებას, რომ, ატმოსფეროს ზედა-ფენები თხელია, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პროპელერისათვისაც. ერთნაირი სიდიდისა და მობრუნებათა რიცხვის ერთნა-ირ პირობებში, პროპელერს ატმოსფეროს ზედაფენებში უფრო ნაკლები ამწევი ძალა ექნება, ვიდრე ქვედაფენებში, ამიტომ ფარ მანმა დაამზადა ოთხფრთიანი პროპელერი, რომლის მობრუნებათა სისწრაფე გაიზრდე-ბა ატმოსფეროს ფენების სითხელის მიხედ-ვით. გერბემ ამჯობინა ცვალებად ფრთიანი პროპელერი. დიდ სიმაღლეზე მუშაობას დაიწყებენ უფრო ფართო ფრთები.

გერმანიის სტრატოპლანი აგებულია იუნკერსის ქარხანაში (დესა) თვით იუნ-კერსის, ასმუსის, განსენის და დ-რ შრენკის ნახაზებით. თავისი კონსტრუქციით ემსგავ-სება ფარმანის სტრატოპლანს.

სამივე სტრატოპლანის კაბინები ჰერმეტი-ულად იხურება. სამივე აეროპლანების წი-ნასწარი გამოცდა შედარებით მცირე სიმაღ ლეზე უკვე ჩატარებულია.

ამავე დროს საფრანგეთში ლე-ბურჟეს აეროდრომის ლაბორატორიაში სწარმოებს ცდები „ადამიანის ორგანიზმზე სტრატოს-ფეროს ფიზიოლოგიური მოქმედების“ გამო-საკვლევად. ამ მიზნით აგებულია ცილინდ-რული კამერა, რომელშიც ხელოვნურად იქ მნება დიდ სიმაღლეზე, არსებული ტემპერა ტურა და წნევა. ამ კამერაში ათავსებენ გა-ფრენის მონაწილეებს. ცდების შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნლობა აქვს, ვინაი-დან მათზე ბევრად არის დამოკიდებული სტრატოპლანის კაბინების კონსტრუქცია და მოწყობილობა“.

## 745 კილომეტრი საათში

„ლიუმანიტეს“ ცნობით, იტალიის არ-მიის ლეიტენანტმა ნერიმ გიდროპლანით მიაღწია 745 კილომეტრის სისწრაფეს საათში. ლეიტენანტ ნერის განზრახული აქვს უახლოეს დროში გაიმეოროს გაფრე-ნა. ცდები იწარმოებს გარდიის ტბაზე.

გიდროპლანს, რომელიც ნერის განკარ-გულებაშია, აქვს ორი ათას ძალიანი მო-ტორი. ერთი მათგანი მოთავსებულია წინ, მეორე კი—უკან. პრაქტიკულად მოტორე-ბის სიმძლავრე 2.800 ცხ. ძალას აღწევს. მფრინავი ზის ორ მოტორს შუა, ვინაიდან კაბინაში ტემპერატურა მაღალია, მფრი-ნავი იცვამს სპეციალურ ასბესტის კოს-ტუმს. გარდა ამისა გიდროპლანზე დადგმუ-ლია სპეციალური ვენტილიატორები.

## „ორანგ-პინდეკი“ — ადამიანის მაგვარი მაიმუნი.

„დეიჩე ალგემეინე ცაიტუნგ“-ის ჰააგელი კორესპონდენტის ცნობით, — ჰოლანდიის სამეცნიერო წრეები დიდის ინტერესით მო-ელიან ევროპის მეცნიერებისათვის დღემდე უცნობ ცხოველს ორანგ-პინდეკს, რომე-ლიც კუნძულ სუმატრიდან არის გამოგზავ-ნილი.

„ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით, — სწერს კორესპონდენტი, — კუნძულის ცე-ნტრალური ნაწილის ტყეებში ცხოვრობს ადამიანის მაგვარ მაიმუნების მეტად სა-ინტერესო ჯიში. ისინი ისე ჰგვანან ადა-მანს, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ჩვენ საქმე გვქონდეს ადამიანებთან, რომლე ბიც პირველყოფილ მდგომარეობაში იმყო-ფებიან. ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე „ორანგ-პინდეკ“ ნიშნავს „მოკლე ადა-მიანს“.

ნადირობა ორანგ-პინდეკზე, რომელიც კუნძულის ხელისუფლების განკარგულე-ბით დაიწყო მიმდინარე წელს, ნაწილობ-რივ წარმატებით დამთავრდა. მოხერხდა მდედრობითი სქესის ორანგ-პინდეკის მოკ-ვლა და მისი პატარა შვილის ცოცხლად დაჭერა. მოკლული ცხოველის ტყავი და ჩონჩხი გადაეცა კუნძულ იავას მუზეუმს და შეუდგნენ მათ შესწავლას. ცოცხლად და-ჭერილი, პატარა ორანგ-პინდეკის წინასწა-რი აღწერა შემდეგ მასალას იძლევა: სიგ-რძე—43 სანტ.. რამოდენიმე პატარა კბი-ლი; კანი - უბალნო, თავზე ხშირი თმა. მონაცრისფერო; ძვლების აგებულობა ძლიერ ჰგავს ადამიანისას.

## ფორდის ჰაეროპლანი — ექსპრესი

ფორდის ახალი ჰაეროპლანი—ექსპრესი დანიშნულია სასწრაფო ტრანსპორტისა-თვის. ფრთები და კორპუსი თითქმის ისე-თივეა, როგორც ფორდის ცნობილი აერო-პლანის მოდელის „5-ატ“ . მთავარი გან-სხვავება მხოლოდ იმაში, რომ ახალ აერო-პლანზე დადგმულია მხოლოდ ერთი მოტო-რი („ისპანოსიუზა“). 715 ცხ. ძალიანი (2.000 მობრუნება წუთში). აი ზოგიერთი დამახასიათებელი ციფრები ახალი აერო-პლანისათვის: მარგი დატვირთვა — 4.900 ინგლისური გირვანქა (ინგლ. გირვ.-459,59 გრამს) აეროპლანის წონა — 6.100 ინგლ. გირვანქა, წონა დატვირთვით — 11.000 ინგლ. გირვანქა, მაქსიმალური სისწრაფე—135 ინგლ. მილი (ინგლისური მილი —1,6 კილომეტრს). ფრენის მაქსიმალური სიმაღ-ლე — 15.000 ფუტი.

## ხილის დაკონსერვება სიცივით

როგორც ცნობილია, ყინვის გამოყენე-ბა ხილის დაკონსერვების დროს მოითხოვს დიდ სიფხიზლეს. ვინაიდან ადვილად შესაძ-ლებელია მთელი ხილი გაიყინოს. ამ საფრ-თხის თავიან ასაცილებლად, როგორც ჟუ-რნალი „ვ. ზ.“ იუწყება, ამერიკელ ჩ. ბრუკსს შემდეგი ხერხი გამოუგონია: ის წინადადებას იძლევა მაცივარის კამერა 20—40 პროცენტით გაივსოს ნახშირბადის ორჟანგით რომელიც კამერაში და-ტოვებული უნდა იქნას დღე-ღამის განმავ-ლობაში, სანამ ხილი, ბოსტნეული და სხვ. კამერის ტემპერატურას არ შეითვისებს და სიცივის გაძლების უნარს არ მიიღებს. ამის შემდეგ ნახშირბადის ორჟანგის რაო-დენობა შეიძლება დაყვანილი იქნას 10 პროცენტამდე. ან სრულიად გამოწოვილი იქნას კამერიდან. ნახშირბადის ორჟანგის გავლენა, როგორც სჩანს, ემყარება ოსმო-ტიური წნევის ზედას ხილ-ბოსტნეულის უჯრედების ზედაპირზე, რის გამო წარმოი-შობა თხელი, ქერქი რომელიც ხილ-ბოსტ-ნეულს იცავს გაყინვისაგან.

## მფრინავი ტანკი

ცნობილმა ამერიკელმა კონსტრუქტორმა კრისტიმ გამოიგონა მფრინავი ტანკი, რო-მელიც აკმაყოფილებს ორგვარ მოთხოვნი-ლებას: იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მფრინავი მანქანა, რომლის ფრთე ბი, კუდი და საჰაერო ხრახნი ავტომატიუ-რად იკეცება, როგორც კი ჰაერო-ტანკი მიწაზე დაეშვება. ის (ტანკი) შეიძლება აგ-რეთვე მიმაგრებულ იქნას დიდ ჰაეროპლა-



მფრინავი ტანკი

ნზე და დანიშნულების ადგილის მიღწევის შემდეგ დაეშვას მიწაზე. ტანკი იწონის 4.996 კილოგრამს. მიწაზე ტანკის სისწრაფე აღწევს 75—85 კილომეტრს საათში.

## 8 სართულიანი სახლის გადატანა

ინდიანოპოლისში (შეერთ. შტატები) ამ რამოდენიმე ხნის წინათ რკინის გზის სად-გურის სარკინისგზო ხაზის გაფართოების გამო 16 მეტრის მანძილზე დასძრეს და სწორი კუთხით მოაბრუნეს ადგილობ-სატელეფონო სადგურის 8 სართულიანი შე ნობა. სადგურის მუშაობა შენობას გადატა-ნის მთელი დროის განმავლობაში ერთი წუ თით არ შეწყვეტილა. მთელი 11 ათასტო ნიანი შენობის გადასატანად გამოყენებული იქნა ფოლადის ლილვები. სადგურის მუშა-ობის განუწყვეტლობა უზრუნველყოფილი იქნა იმით, რომ სატელეფონო კაბელი გააგრძელეს 60 მეტრით. გაზის წყალსა-დენის, საკანალიზაციო და გასათბობი დად-გმულობას მუშაობის უზრუნველსაყოფად. შესაფერ დადგმულობათა მილებში ჩადგმუ ლი იქნა ელასტიური მილები, რის წყალო-ბითაც შენობის მოძრაობის მიუხედავად 1 წუთითაც არ შეწყვეტილა სადგურისათვის გა ზის, წყლის და ორთქლის მიწოდება, შე-ნობის გადატანა გაგრძელდა 3 თვეს.

# რონიკა უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ტყვია და მხრჩოლავი გაზები პურის მაგიერ.** ეკონომიური კრიზისი შეერთ. შტატებში შეუჩერებლად იზრდება. ფართო მასების განწყობილება უფრო და უფრო რადიკალური ხდება. კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ებმება მშრომელი მასების ის ნაწილიც კი, რომელიც წინად ბურჟუაზიული პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასეთი იყო აქამდე ომის ვეტერანების (იმპერიალისტური ომის მონაწილეთა) ორგანიზაცია. ჰუვერის მთავრობამ, რომელიც მილიარდებს ხარჯავს ვაჭარმრეწველების დასახმარებლად, უარი უთხრა დახმარებაზე ვაშინგტონში ჩასულ რამოდენიმე ათას ვეტერანს. იმის შიშით, რომ რამდენიმე ათას მშიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს რაიმე „უკანონო“ საშუალებას, ჰუვერმა მოახდინა ჯარების მობილიზაცია და რამდენიმე დღის განმავლობაში ომის ყოფილ მშიერ მონაწილეების წინააღმდეგ ნამდვილი სამხედრო ოპერაციები სწარმოებდა. სურათზე—ვეტერანების ცეცხლწაკიდებული ბანაკი. კვამლში ძლივს მოსჩანს ამერიკის მთავრობის შენობა.



**„დემოკრატიული“ ინკვიზიცია.** ამერიკის ბურჟუაზიულ კალმოსნებს ძლიერ უყვართ ლაყბობა შეერთ. შტატებში არსებულ „დემოკრატიზმზე“. ამ „დემოკრატიზმის“ ერთ-ერთ ნიმუშს მკითხველი ნახავს აქ მოყვანილ სურათზე: იგი წარმოადგენს წამების კამერას ჯეკონვილის ციხეში. ამ კამერაში მოთავსებულის ფეხებს ამაგრებენ სპეციალურ კალაპოტში ისე, რომ განძრევა არ შეუძლია, ხელებით აბამენ კედელზე, კისერზე კი—ჯაჭვს.

**სურათზე**—გამომძიებელი ამოწმებს იარაღს.



**უმუშევრობა გერმანიაში.** ბერლინის ახლო ვიტტენაუს ჰაობიან რაიონში თავშესაფარი იშოვა 35 უმუშევრის ოჯახმა, რომლებიც ბინის ქირის გადაუხდელობისათვის გამოჰყარეს მათი ბინებიდან. კარტონიდან ან ფანერიდან გაკეთებულ „ბინების“ კედლებზე სქლად არის აკრული ძველი გაზეთები. შიგნით მეფობს სიმშილი და გაჭირვება.




პრეზიდენტ ჰინდენბურგის საგანგებო დეკრეტის ძალით მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება პრუსიაში გადავიდა ფონ-პაპენის ხელში. ს.-დ. მინისტრები გადაყენებულ იქნენ, სურათზე—რეიხსვერის ჯარისკაცები, რომლებიც იგზავნებიან პრუსიის სამინისტროების დასაკავებლად.




**სექტემბერში ქ. ჰამბურგში შესდგება კომუნალური არჩევნები.** ბურჟუაზიული პარტიები და სოციალ-ფაშისტები, შეშინებულნი რევოლიუციონური მასების აქტივობით, გაათრებით ესხმიან თავს კომპარტიას. ჰამბურგის პოლიციის უფროსმა—სოციალ-დემოკრატმა დახურა კომპარტიის რაიონული კომიტეტი. ნიშნად პროტესტისა კომპარტიამ მოაწყო გრანდიოზული დემონსტრაცია. სურათზე: ფიზკულტურელები დემონსტრაციაზე, მათ მიაქვთ პლაკატი წარწერით: „წითელი ფიზკულტურელები რევოლიუციის ჯარისკაცები არიან“

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა. ტფილისი, კამოს ქ., № 68 მთავლიტი 122. ტირაჟი 6000